პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ პარასკევი 28 აპრილი 1978 წ. □ № 100 (17144) □ ფასი 2 კაპ.

1920 □ გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან □ 1978

მრეწველობის მუშაკებო! გაზარდეთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, გააუმჯობესეთ მისი ხარისხი და ასორტიმენტი! უფრო სრულად დააკმაყოფილეთ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები

ქვეყნის ცხოვრებაში, ჩვენს ძმურ ოჯახში შემავალი ყველა ერისა და ეროვნების ცხოვრებაში მოხდა დიდი მნიშვნელობის მოვლენა — მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების რიგგარეშე სესიებმა მიიღეს ახალი კონსტიტუციები. ამოქმედდა ერთიან საკავშირო სახელმწიფოში — სსრ კავშირში შემავალი თანასწორუფლებიანი საბჭოთა რესპუბლიკების — რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთისა და ესტონეთის ძირითადი კანონები.

ძალაში შესული დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები შემუშავებულია ქვეყნის ძირითადი კანონის სრული შესაბამისობით, განასახიერებს სახელმწიფო მშენებლობის მდიდარ გამოცდილებას, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, საბჭოთა ხალხების ურღვევი კავშირის დიად ძალას. რესპუბლიკურ კონსტიტუციებში ასახულია მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების პრინციპული ნიშან-თვისებები, რომლებსაც საერთო მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე მიღებული აქტები ითვალისწინებს თითოეული რესპუბლიკის ისტორიულ თავისებურებებს. ამით კონკრეტულად ვლინდება სსრ კავშირისა და მისი შემადგენელი ნაწილების კონსტიტუციური განვითარების ერთიანობა და მემკვიდრეობითობა.

ჩვენმა საზოგადოებამ ამჟამად თავისი სიმწიფის ისეთ სტადიას მიაღწია, როცა მთავრდება სოციალიზმისათვის შინაგანად დამახასიათებელ კოლექტივისტურ საწყისებზე საზოგადოებრივი ურთიერთობის მთელი ერთობლიობის გარდაქმნა. ამრიგად, ფართო სარბიელი ექმნება სოციალიზმის კანონების მოქმედებას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მისი უპირატესობის გამოვლენას.

რესპუბლიკების ძირითადი კანონები, რომელთა განხილვა და მიღება გადაიქცა სოციალისტური დემოკრატიის ბრწყინვალე ზეიმად, სსრ კავშირის კონსტიტუციასთან ერთად მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ურღვევ სიმტკიცეს. „ხალხთა ძმურ ოჯახში, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებზე აღზრდილი საბჭოთა ადამიანები თავისი ბუნებით ინტერნაციონალისტები არიან, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობაზე გამოსვლისას. — ინტერნაციონალისტური ტრადიციები დღეს ხორცს ისხამს მათს საქმეებში, უნდა ითქვას, უფრო ფართოდ, უფრო მრავალფეროვნად, ვიდრე ოდესმე წინათ".

ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში მოკავშირე რესპუბლიკათა მიერ მოპოვებული წარმატებანი ჭეშმარიტად გრანდიოზულია. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის ინდუსტრია ერთ დღეში უშვებს იმდენ პროდუქციას, რამდენსაც ორმოცი წლის წინათ დახლოებით სამ კვირაში იძლეოდა. ბელორუსიაში ახლა ორ კვირაზე ნაკლებია საჭირო, რათა უზრუნველყონ ისეთი სამრეწველო პროდუქციის მოცულობა, როგორიც მიღებული იყო 1936 წელს, უკრაინის სამრეწველო წარმოება ოთხი ათწლეულის მანძილზე გაიზარდა 17-ჯერ, ტაჯიკეთისა — 33-ჯერ, ყირგიზეთისა — 60-ჯერ. სახალხო მეურნეობის სწრაფ ზრდასთან ერთად ქვეყნის ყველა კუთხეში აყვავდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

მოკავშირე რესპუბლიკები მიღებულ კონსტიტუციებში განსაზღვრულია როგორც სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოები, რომლებიც გამოხატავენ მათს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, მშრომელების ნებასა და ინტერესებს. სახელმწიფო ხელისუფლება ნებისმიერ რესპუბლიკაში ხალხს ეკუთვნის და სახალხო დეპუტატთა საბჭოების საშუალებით ხორციელდება. ქვეყნის, თავიანთი რესპუბლიკების ცხოვრების მართვაში მოქალაქეთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა მტკიცედ დამკვიდრდა როგორც საზოგადოების პოლიტიკური განვითარების მთავარი მიმართულება. ახლა ჩვენს საბჭოებში 2,2 მილიონზე მეტი დეპუტატია. თუკი გავითვალისწინებთ იმათაც, ვინც საბჭოებში წინათ ყოფილა არჩეული, მაშინ ქალაქებსა და სოფლებში არის უკვე მრავალი მილიონი ადამიანი, რომლებმაც სახელმწიფო მართვის დიდი სკოლა გაიარეს. საბჭოების — ჭეშმარიტი სახალხო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის ღონისძიებანი მიზნად ისახავს მასების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის შემდგომ ამაღლებას, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებას, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

ყოველმა საბჭოთა ადამიანმა იცის: კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებული ყველა ჩვენი წარმატება განუყრელად უკავშირდება ლენინური პარტიის ხელმძღვანელობას. ისევე როგორც საკავშირო კონსტიტუციაში, რესპუბლიკების ძირითად კანონებშიც აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ბირთვია. თავისი ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის მდგომარეობა, მშრომელთა სიყვარული და მადლიერება პარტიამ მოიპოვა ხალხისადმი, კომუნიზმის საქმისადმი ერთგული სამსახურით.

„ახალი რესპუბლიკური კონსტიტუციები ჭეშმარიტად სახალხოა, წერს „პრავდას" სვერდლოვსკელი მანქანათმშენებელი, სოციალისტური შრომის გმირი ი. მინინი. — ისევე როგორც სსრ კავშირის ძირითადი კანონი, ისინი უზრუნველყოფენ საბჭოთა ადამიანების დიად უფლებებს — შრომის, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის, მოხუცებულობაში მატერიალური უზრუნველყოფის, ბინის, განათლების, კულტურის მიღწევებით სარგებლობის, საზოგადოების საქმეთა მართვაში მონაწილეობის უფლებებს. ამით ვლინდება პარტიის მამობრივი ზრუნვა მშრომელებისათვის. ჩვენ ამ ზრუნვას დამკვრელური მუშაობით ვუპასუხებთ". რედაქცია ახლა იღებს ბევრ ასეთ წერილს, რომლებიც გამოხატავს მილიონთა მიზნებისა და მისწრაფებებს ერთიანობას, მათს შეკავშირებას პარტიის გარშემო, მხურვალე სურვილს ამრავლონ თავიანთი წვლილი სამშობლოს აყვავებაში.

აი უკვე ნახევარ წელიწადზე მეტია, ქვეყანა ცხოვრობს სსრ კავშირის ახალი ძირითადი კანონით, რომლის თითოეული მუხლი, თითოეული დებულება სულ უფრო მკვიდრდება სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირთა, ყველა მშრომელის ყოველდღიურ საქმიანობაში. ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის პროპაგანდასა და პრაქტიკულ განხორციელებასთან დაკავშირებულ დიდ მუშაობას რომ განაგრძობენ, პარტიულმა ორგანიზაციებმა ამავე დროს უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ ცხოვრებაში სწრაფად მკვიდრდებოდეს მოკავშირე რესპუბლიკების ახლად მაღალი კონსტიტუციები. მშრომელები უნდა იცნობდნენ კონსტიტუციურ დებულებებს, იცოდნენ თავიანთი უფლებები და თავისუფლებები, ესმოდეთ მათი განუყრელი კავშირი მოქალაქეობრივ ვალდებულებათა კეთილსინდისიერ შესრულებასთან. პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პირდაპირი ამოცანაა ხელი შეუწყონ იმას, რომ თითოეულმა ადამიანმა გამოიმუშაოს მაღალი პოლიტიკური კულტურა.

ახალი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში ეგებებიან საბჭოთა ადამიანები პირველ მაისს. მთელი სულითა და გულით ეხმაურებიან ისინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საბრძოლო მოწოდებებს:

— გაუმარჯოს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმურ მეგობრობასა და ურყევ ერთიანობას!

— გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

ПРАВДА

27 აპრილის მოწინავე

ვინონებთ!

საბჭოთა ადამიანების მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ კომკავშირის XVIII ყრილობაზე

წარმოების ავანგარდში

როცა ვეცნობით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას კომკავშირის XVIII ყრილობაზე, არ შეიძლება ხაზგასმით არ აღვნიშნოთ, რომ ამ ისტორიულ გამოსვლაში ჩამოყალიბებულია სახელმწიფო მითითებანი კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. თუ გნებავთ ასეთი ფაქტი—სადაც თაოსნობა და სიახლეა, იქ კომკავშირი და ახალგაზრდობაა. ჩვენს ქარხანაში მომუშავეთაგან ყოველი მესამე კომკავშირელია. ისინი თავდადებით შრომობენ უშუალოდ იქ, სადაც იქმნება პროდუქცია. და ამ პროდუქციაზე, შეიძლება ბევრმა არც კი იცოდეს, დიდი მოთხოვნილებაა არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაშიც.

ახლა საწარმოში ფართოდ არის გაჩაღებული მოძრაობა — „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდობის ენთუზიაზმი და შემოქმედება". სწორედ ამ მოძრაობამ უკარნახა ქარხნის 140 კომკავშირელს ეკისრა ვალდებულება ხუთწლედის მესამე წლის პირველი ნახევრის პირადი დავალება შეესრულებინა კომკავშირის XVIII ყრილობის გახსნის დღისათვის. მათ სიტყვა საქმედ აქციეს. ხარატი თენგიზ აფულავა (ელექტრომანქანების საამქრო), ზეინკალი ომარ როხვაძე (საიარაღო საამქრო), დურგალი თემურ დიასამიძე (ხისდამუშავებელი საამქრო) და ათობითა და ასობით სხვა ახალგაზრდა წარმოების ავანგარდში დგანან. მათ წამოწყებასა და ინიციატივის მხარს უჭერენ პარტიული ორგანიზაციები, ახალისებენ არა მარტო მორალურად, არამედ მატერიალურადაც.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში განსაკუთრებული ადგილი დაუთმო დასავლეთ ციმბირის საბადოების გამოყენებას, ამ საქმეში ახალგაზრდობის მონწილეობას. ქალაქ ტიუმენის ნავთობის მრეწველობისათვის ჩვენს ქარხანაშიც მზადდება ნავთობსატუმბი დანადგარები, რომელთა ხარისხსა და საიმედოობაზე, აგრეთვე გამოყენების ხანგრძლივობაზე ბევრად არის დამოკიდებული ტიუმენის ნავთობის საბადოს ექსპლოატაცია.

ქარხნის ახალგაზრდებს გადაწყვეტილი აქვთ დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულონ ტიუმენის დაკვეთები, დაუწესონ მათ კომკავშირული შეფობა.

ლ. მურღულია.

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

მოკავშირის რწმენით

გულში ჩამწვდომი, ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის გასახარელი პერსპექტივებია გადაშლილი ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის ღრმაშინაარსიან სიტყვაში, რომელიც მან სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობაზე წარმოთქვა. კითხულობ ამ ისტორიულ გამოსვლას და გული სიამაყის გრძნობით გევსება იმის შეგნებით, რომ კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო ყველაფერს აკეთებენ ადამიანების საკეთილდღეოდ, ხალხის ბედნიერი მომავლისათვის, მშვიდობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ჩვენს ახალგაზრდობას ახლა სოფლად შრომისა და ცხოვრების ჩინებული პირობები აქვს. ეს შესანიშნავად არის ნათქვამი ამხანაგ ლ. ბრეჟნევის სიტყვაში. მართლაც, რა ჯობია სოფლად მუშაობას! ყველა ის სიკეთე გვაქვს, რითაც ქალაქის მცხოვრებლები სარგებლობენ. მაგრამ მე კარგად მახსოვს, თუ რა იყო ჩემი სოფელი ორპირი ამ ოთხი ათეული წლის წინათ — გაუვალი, ტალახიანი გზები, ქოხმაზებში მოთავსებული ოროიდე მაღაზია და ბიბლიოთეკა, ჭალაში ჩადგმული პატარა წისქვილი, ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობა. ახლა კი სულ სხვა ორპირი, სადაც ათასზე მეტი კომლი ცხოვრობს. გვაქვს კარგი საავადყოფო, საშუალო, დაწყებითი, მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლები, სბავშვო ბაღი, კომუნალური, საყოფაცხოვრებო გაერთიანებები, ჩაის, ფაბრიკა, ეკონომიკურად ძლიერი კოლმეურნეობა. ერთი სიტყვით, ორპირი ქალაქის ტიპის დასახლებად იქცა.

და ყოველივე ამ სიკეთეს გაფრთხილება, გამრავლება სჭირდება. ეს კი დიდად არის დამოკიდებული ჩვენი ახალგაზრდობის უნარზე, მონდომებაზე, თავდადებულ შრომაზე. ჩვენ ყოველი ღონით უნდა ვიბრძოლოთ ისეთი ატმოსფეროს შექმნისათვის, როცა ზარმაცების, გამცდენების, წესის მკეთებლების, საზოგადოებრივი ქონების დამტაცებლების მდგომარეობა, როგორც ამაზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მიუთითებს, ნამდვილად შეუწყნარებელი იქნება.

დ. მორჩაძე.

ქ. ტყიბულის სოფელ ორპირის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ დასვენების დღე 1978 წლის 6 მაისიდან, შაბათიდან, გადატანილ იქნეს 8 მაისისათვის, ორშაბათისათვის.

უპატაკებენ ყრილობას

თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ელექტრომექანიკური ქარხნის ელექტრომონტაჟეთა კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც კომკავშირის XVIII ყრილობის დელეგატი ლია რაზმაძე ხელმძღვანელობს, დიდ შრომითს წარმატებას მიაღწია.

ახალგაზრდობის საკავშირო ფორუმის გახსნის დღეს წარმოებულ მუშაკებმა უპატაკეს, რომ შეასრულეს კომკავშირის ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი — ვადამდე გაანაღდეს ხუთწლედის სამი წლის გეგმა.

ეს ამბავი ელექტრომექანიკურ ქარხნის ბრიგადირს, რომელიც ლენინური კომკავშირის XVIII ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს.

სურათზე: თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მოწინავე ელექტრომექანიკეები (მარცხნივ): ქეთინო ბედოშვილი, ანა რაზმაძე, ნატალია ბნოლიძე, ციცინო გოგლიძე, ელენე წოწალური, ზოია მოსესიანი პატაკს სწერენ მოსკოვში ბრიგადირს, კომკავშირის XVIII ყრილობის დელეგატს ლია რაზმაძეს.

ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სამაისო ვახტზე

შეჯიბრეგაში დაწინაურდნენ

ყლის დამდეგიდანვე დამკვრელურ შრომითს ვახტზე დადგა დედაქალაქის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი. იანვარ-მარტში გეგმით გათვალისწინებული 2 მილიონ 575 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 2 მილიონ 635 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, რეალიზაციის გეგმას — 2 მილიონ 585 ათას მანეთს — აქ 115 ათასი მანეთით გადაჭარბეს.

აპრილში ქარხანას გეგმით 863 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქციის გამოშვება და 864 ათასი მანეთის ნაწარმის რეალიზაცია ევალება. 24 აპრილისათვის საწარმომ გამოუშვა 720 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია და რეალიზაცია უყო 700 ათასი მანეთისას.

საპირველმაისო შრომითს ვახტზე დაწინაურდნენ და შრომაში თავი გამოიჩინეს ელექტროსამანქანო (უფროსი — ა. სუხაშვილი), სამგზავრო-სავაგონო, (უფროსი— ბ. ფილოსანი), სამქედლო-სარემონტო (უფროსი — დ. ჯიქია) საამქროებმა.

მ. ნაჭყებია.

ითვისებენ დიდგაბარიტიან მანქანებს

ფოთი. (საკ. კორ.). საპირველმაისო მოწოდებამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლექტივი. იანვარ-მარტში გეგმით გათვალისწინებული 2 მილიონ 575 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 2 მილიონ 635 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, რეალიზაციის გეგმას — 2 მილიონ 585 ათასი მანეთს — აქ 115 ათასი მანეთით გადაჭარბეს.

აპრილში ქარხანას გეგმით 863 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქციის გამოშვება და 864 ათასი მანეთის ნაწარმის რეალიზაცია ევალება. 24 აპრილისათვის საწარმომ გამოუშვა 720 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია და რეალიზაცია უყო 700 ათასი მანეთისას.

საპირველმაისო შრომითს ვახტზე დაწინაურდნენ და შრომაში თავი გამოიჩინეს ელექტროსამანქანო (უფროსი — ა. სუხაშვილი), სამგზავრო-სავაგონო, (უფროსი— ბ. ფილოსანი), სამქედლო-სარემონტო (უფროსი — დ. ჯიქია) საამქროებმა.

მ. ნაჭყებია.

დამკვრელური შრომით

მცხეთა. („კომუნისტის" კორ.) დიღმის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — ი. მიქელაშვილი) მხვნელ-მთესველებს, მევენახეებს, მეცხოველეებს შორის ფართოდ არის გაჩაღებული საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება.

უამინდობის მიუხედავად ზვრებში გადაწვენა-ახვევა, სხვლა-გაფორმება, შპალერის რემონტი, მწკრივთაშორისების ნიადაგის გაფხვიერება, სასუქის შეტანა უნდა დაემთავრებინათ აპრილის ბოლოსათვის. ფაქტიურად აღნიშნული სამუშაოები ვადამდე შესრულდა. ახლა მევენახეები ვახის პირველი შეწამვლისათვის ემზადებიან.

მებოსტნეები მთელი ძალ-ღონით მუშაობენ, რათა დედაქალაქის მშრომელებს ყოველდღე მიაწოდონ მწვანილი და ბოსტნეული.

შ. ჭოჭუა.

ინტერესით

ბონი, 27 აპრილი. (საკადესი). სსრ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ოფიციალური ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამ ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობის სულ უფრო მეტ უურადღებას იპყრობს. პოლიტიკური მოღვაწეების, საქმიანი წრეების წარმომადგენლების, პროფკავშირული აქტივისტების გამოსვლებში, მასობრივი ინფორმაციის ბევრი ორგანოს კომენტარებში გამოთქმულია იმედი, რომ საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის უმაღლესი დონის მოლაპარაკება მნიშვნელოვანი წვლილი იქნება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში, ახალ იმპულსს მიანიჭებს ევროპასა და მსოფლიოში დაძაბულობის შენელების პროცესს.

ინდონეზია უარყოფს

ჯაკარტა. (საკადესი). ინდონეზიამ უარყო პეკინის წინადადება შექმნან „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა — ასეანის ერთიანი ფრონტი სხვა ქვეყნებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად". ეს განაცხადა ინდონეზიის პოლიტიკისა და უშიშროების საკითხთა მინისტრ-კოორდინატორმა პანგაბეანმა, როცა ამას წინათ იხილავდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰუანგ ჰუას განცხადებას იმის შესახებ, რომ პეკინი მოუწოდებს ასეანის ქვეყნებს (ამ ორგანიზაციაში შედის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხუთი სახელმწიფო — ინდონეზია, მალაიზია, სინგაპური, ტაილანდი და ფილიპინები) „შექმნან ერთიანი ფრონტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან".

ისრაელი „კორის" ვიზიტი

ვაშინგტონი, 26 აპრილი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში ჩამოვიდა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. დაიანი, რომელიც მოლაპარაკებას გამართავს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ს. ვენსთან. დაიანის მორიგი ოკეანისგაღმა ვოიაჟის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ის არის, რომ მოამზადოს ისრაელის პრემიერ-მინისტრის მ. ბეგინის ვიზიტი ვაშინგტონში, რომელიც მაისის დამდეგისათვის არის დანიშნული.

ჩადის ამბების გამო

პარიზი, 26 აპრილი. (საკადესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, ამას წინათ ჩადში გადაუვანილმა საფრანგეთის უცხოეთის ლეგიონის ქვეგანაყოფებმა ტანკებისა და ავიაციის მხარდაჭერით მასირებულად შეუტიეს ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოზიციებს.

ეს დაჯგუფება მთელი რიგი წლების მანძილზე საომარ მოქმედებას აწარმოებდა მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. მაგრამ რამდენიმე კვირის წინათ ლიბიის, ნიგერიისა და სუდანის შუამავლობით ჩადის მთავრობასა და ეროვნული განთავისუფლების ფრონტს შორის მიღწეული იყო შეთანხმება (იხ.ცხლის შეწყვეტის შესახებ. როგორც პრესის ცნობები მოწმობენ, ახლანდ ბრძოლები ჩადში განახლდა.

მსოფლიო დღეს

კურსი — მაღალი ეფექტიანობა

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სსრ მრეწველობის მიერ 1978 წლის I კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდების პასუხად, რომ 1978 წელი აღნიშნონ დამკვრელური შრომითა და ახალი წარმატებებით, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება წლიური გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის. სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა შესრულდა ვადამდე. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 38,8 მილიონი მანეთის პროდუქცია.

სამრეწველო წარმოების მატება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 7,7 პროცენტი, წლიური გეგმა კი ითვალისწინებს 7 პროცენტს. მონაცემები ცალკეული დარგების მიხედვით მოგვაყვს ქვემოთ:

	წარმოების მოცულობა 1978 წლის I კვარტალში პროცენტობით 1977 წლის I კვარტალთან შედარებით
ელექტროენერგეტიკა	111
სათბობი მრეწველობა	110
შავი მეტალურგია	104
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	104
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	108
ხე-ტყის, ხისდამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	110
საშენ მასალათა მრეწველობა	108
მსუბუქი მრეწველობა	108
კვების მრეწველობა	108
კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოება	110

შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 5,4 პროცენტით; ამ გზით მიღებულია პროდუქციის მატების დაახლოებით სამი მეოთხედი. მოგება გაიზარდა 8,1 პროცენტით; მოგების გეგმა შესრულებულია 102,2 პროცენტით.

პროდუქციის რეალიზაციის კვარტალური გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა რესპუბლიკის ყველა სამინისტრომ და უწყებამ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გარდა, საწარმოო გაერთიანებების (კომბინატების) და საწარმოების 97 პროცენტმა.

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებას, წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებში, ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	პროდუქციის რეალიზაციის კვარტალური გეგმის შესრულების პროცენტი	1978 წლის I კვარტალი პროცენტობით 1977 წლის I კვარტალთან შედარებით: წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობა	103	107	105
აქედან:			
ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროსი	105	111	110
ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობ-ქიმიური მრეწველობის სამინისტროსი	103	107	107
ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსი	103	100,1	101
შავი მეტალურგიის სამინისტროსი	104	104	105
ქიმიური მრეწველობის სამინისტროსი	101	102	103
ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროსი	101	108	105
ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროსი	102	108	106
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროსი	102	118	112
საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსი	102	105	103
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროსი	102	100,7	102
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროსი	102	104	101
მსუბუქი და კვების მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის სამინისტროსი	100,2	112	111
ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის სამინისტროსი	101	108	112
კვების მრეწველობის სამინისტროსი	102	114	109
თევზის მეურნეობის სამინისტროსი	107	100,5	95
საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა	102	108	106

(დასასრული მე-2 გვ.)

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

კურსი—მაღალი ეფექტიანობა

(დასასრული)

აქედან:			
ხე-ტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტროსი	101	111	106
ნავთის მასალათა მრეწველობის სამინისტროსი	100,6	108	104
მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსი	102	108	107
კვების მრეწველობის სამინისტროსი	102	108	107
ზორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსი	108	107	103
დამზადების სამინისტროსი	103	103	103
მშენებლობის სამინისტროსი	99,8	104	103
სასოფლო მშენებლობის სამინისტროსი	103	115	108
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსი	102	111	109
ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მრეწველობა			
აფხაზეთის ასსრ	103	112	108
აჭარის ასსრ	104	116	113
სამხრეთ ოსეთის აო	103	107	108
ქალაქები:			
თბილისი	102	109	107
სოხუმი	103	105	99
ბათუმი	104	115	112
ცხინვალი	103	107	107
ქუთაისი	102	107	105
რუსთავი	101	102	103
პაგრა	103	108	99
გორი	102	103	101
ზუგდიდი	102	114	107
ფოთი	104	93	93
ტყვარჩელი	103	104	105
ყაზბეგი	102	114	116
წყალტუბო	101	115	111
ქიათურა	103	105	102

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებამ შეადგინა:

	წარმოებულია 1978 წლის I კვარტალში	1978 წლის I კვარტალი ბრიგადა 1977 წლის I კვარტალთან შედარებით
ელექტროენერგია (საერთო სარგებლობის ელექტროსადგურები და ბლოკსადგურები) — მილიონი კილოვატსაათი	3377	110
მანგანუმის მადანი — ათასი ტონა	522	112
ფოლადის მილები:		
მილიონი მეტრი	7,2	102
ათასი ტონა	133	100,8
მინერალური სასუქები— ათასი ტონა:		
პირობითი ერთეულებით	187	97
აზოთიან ნივთიერებათა 100-პროცენტიან შემცველობაზე გადაანგარიშებით	38,4	97
ქიმიური ბოჭკოები — ათასი ტონა	4,1	102
ცვლადი დენის ელექტროძრავები — ათასი კილოვატი	26,2	124
ლითონსაჭრელი ჩარხები:		
ცალი	1046	104
მილიონი მანეთისა	8,8	104
სამაგისტრალო ელმავლები:		
ცალი	32	100,0
ათასი ცხენის ძალა	232	102
სატვირთო ავტომობილი—ათასი ცალი	5,3	101
ავტომობილების სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	5,6	110
ქაღალდი — ათასი ტონა	9,3	111
ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები და დეტალები (საოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციების წარმოების გარდა) — ათასი კუბური მეტრი	385	116
შიფერი — მილიონი პირობითი ფილა	13,3	76
მოსახირეთეგზელი მოჭიქული კერამიკული ფილები (საკედლე) — ათასი კვადრატული მეტრი	183	141
წინდა — მილიონი წყვილი	5,8	112
ტრიკოტაჟის საცვალი — მილიონი ცალი	5,6	100,1
ზედა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	3,9	110
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	3,9	104
ხორცი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) — ათასი ტონა	14,4	95
ძეხვეული — ათასი ტონა	6,6	107
ცხიმიანი ყველი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) — ათასი ტონა	3,7	99
კონსერვი (საბჭოთა მეურნეობების წარმოების გარდა) — მილიონი პირობითი ქილა	62,8	125
მინერალური წყლები — მილიონი 0,5 ლიტრი	111	99,2
მარგარინის პროდუქცია (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) — ათასი ტონა	8,6	113
ერბო-კარაქი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) — ტონა	258	106
მოუხტელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) — ათასი ტონა	40,2	102
ნატურალური სორტული დაფასოებული ჩაი — ათასი ტონა	11,0	112
ყურძნის ღვინო (კოლმეურნეობებში წარმოებული და მოსახლეობის მიერ შინ დაყენებულის გარდა) — მილიონი დეკალიტრი	4,2	95
შამპანური — მილიონი ბოთლი	4,6	108
პაპიროსი და სიგარეტი — მილიარდი ცალი	5,0	101
ავეჯი — მილიონი მანეთისა	19,5	114

გაუმჯობესდა საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, ამაღლდა პროდუქციის ხარისხი.

მთლიანად მრეწველობის მუშაობის დადებით შედეგებთან ერთად ცალკეულმა საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა ვერ შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის, გათვალისწინებული ასორტიმენტით მისი გამოშვების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, დაგროვების დადგენილი დავალებანი, იყო მიწოდების ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევები. მთლიანად ვერ შესრულდა ცემენტის, შიფერის, ტყავის ფეხსაცმლის, ხორცის, ცხიმიანი ყველის, ყურძნის ღვინისა და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმა.

სამრეწველო გაერთიანებებისა და საწარმოების კოლექტივები ახორციელებენ ღონისძიებებს, რომ აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, უფრო სრულად გამოიყენონ რეზერვები, ამაღლონ წარმოების ეფექტიანობა და გაუმჯობესონ მუშაობის ხარისხი, მიაღწიონ უმაღლეს შედეგებს უმცირესი დანახარჯებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

მ. ი. კალინინის მონუმენტი მოსკოვში

26 აპრილს მოსკოვში საზეიმოდ ითარგანდა გახსნეს მიხეილ ივანეს ძე კალინინის — ჩვენი ხალხის სახელოვანი შვილის, გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის, ვ. ი. ლენინის თანამებრძოლის ძეგლი. მონუმენტი აიგო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადწყვეტილებით.

ძეგლი დაიდგა მ. ი. კალინინის სახელობის გამზირზე. მიტინგზე, რომელიც ამ ღირსშესანიშნავ ოვლენას მიეძღვნა, დედაქალაქის სახით მშრომელი შეიკრიბა. მას ესწრებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირისა და რსფსრ კულტურის სამინისტროების პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებრივის წარმომადგენლები. მიტინგი გახსნა ვ. ვ. გრიშინმა. გაიკრა წითელი ლენტი, ნელა ჩამოეშვა საბურველი და დამსწრეთ თვალწინ წარმოუდგა მ. ი. კალინინის ბრინჯაოს ქანდაკება, ფეხზე დგა საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

მიტინგზე გამოიდგნენ სკკპ წევრი 1917 წლიდან დ. მ. ლოგინოვი, მოსკოვის მ. ი. კალინინის სახელობის ტუმბოების ქარხნის შიგმჩარხავი ა. ვ. სტეპანოვი, მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ო. ზენკევიჩი.

მონუმენტი აიგო რსფსრ დამსახურებული მხატვრის მოქანდაკე ბ. ი. დიუკეევისა და რსფსრ დამსახურებული არქიტექტორის ვ. ი. კუტირევის პროექტით. (საკლისი).

სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობაზე

პარტიის საქმის ერთგულნი

კრემლის ყრილობათა სასახლეში, სადაც მუშაობას განაგრძობს საბჭოთის ახალგაზრდობის ფორუმი, გამოეფინელია ლენინური კომკავშირის შრომითი სიჭაბუკრები თავისი XVIII ყრილობისადმი. ამ სიჭაბუკრებში აისახა საბჭოთა ახალგაზრდობის თითქმის 38-მილიონიანი ავანგარდის სასახელო სიმრავლე, მისი მესწრაფვება ზორცი შეასხას სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

27 აპრილი ყრილობის მუშაობის მესამე დღე იყო.

ურყევია ჩვენს ქვეყანაში თაობათა მემკვიდრეობითობა — რევოლუციური, შრომითი, ზნეობრივი, მხედრული გმირობა და თავდადება — ეს მაღალი ცნებები აღელვებს თითოეულ ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანს. განაცხადა აზერბაიჯანის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ა. გუსეინოვმა.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა **ვ. პ. ელიუტინმა** ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ დიდია ლენინური კომკავშირის პასუხისმგებლობა საფუძვლიანი და მტკიცე ცოდნით შეიარაღებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა, კომუნიზმის მტკიცე მშენებელთა მომზადებაში.

შემდეგ ყრილობაზე გამოვიდნენ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **მ. ი. სეშენუშკინი,** ულიანოვსკის ვ. ი. ლენინის სახელობის № 1 საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი **ტ. დ. ლობანოვა,** ტყიბულეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ა. ს. სატაროვი,** სსრ კავშირის განათლების მინისტრი **მ. ა. პროკოფიევი.**

არმის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი მრავალმილიონიანი ნებაყოფლობითი საზოგადოების სახელით ყრილობას მიესალმა დოსაააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ი. პოკრიშკინი.**

შემდეგ გამოვიდნენ არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ფიზკულტურის მასწავლებელი, ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების არაერთგზის ჩემპიონი **ი. კ. როდნინა,** კომკავშირის ალტაის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. ვ. ეუგანოვი.**

ყრილობას საბჭოთა მეცნიერების მთავარი შტაბის გულითადი სალამი გადასცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **ა. პ. ალექსანდროვმა.**

სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობის შემდეგ განვლილი ოთხი წელი საქართველოს კომკავშირისათვის ახალგაზრდობის აღზრდის, თვითაღზრდის, ახლებურად აღზრდის პრობლემებისადმი დიფერენციებული, ინდივიდუალური მიდგომის პრაქტიკული განხორციელების პერიოდი იყო, თქვა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჟ. კ. შარტავამ.** ზნეობრივი ალმატის პრობლემა ერთ-ერთი ძირითადი აზოცანაა, რომელსაც რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები წყვეტს.

სრულიად საკავშირო ალკკ-ის ცენტრალური კომიტეტის ალმაცანა აღზარდოს ახალგაზრდობა კომუნისტური იდეურობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინის სულისკვეთებით.

ამის შესახებ ლაპარაკობდნენ ყრილობაზე თურქმენეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ი. შანყულიევი,** სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ს. კოტანჯიანი,** კომკავშირის სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ვ. ილიუშინი.** კომკავშირის კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. პ. გრიცენკო,** ლიტვის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ს. ბალტრუნასი.** კომკავშირის როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ა. დერგაუსოვი,** ყირგიზეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ა. ა. რისმენდიევი,** უფლის მოტორსაშენებლო გაერთიანების კომკავშირის კომიტეტის მდივანი **ვ. ა. მურავიოვი,** კომკავშირის კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ვ. კუზმოვი,** ქ. გომელის № 17 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი **ნ. ი. მაკარეიკინა,** კომკავშირის ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. სოლოვიოვი,** კომკავშირის ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ი. პ. სავენკო.**

სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობა 28 აპრილს მუშაობას განაგრძობს.

ყრილობის დარბაზიდან

სურათზე: სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის დელეგატები: (მარცხნიდან), ყირგიზეთის სსრ ოშის ოლქის მებამბეთა ბრიგადის ბრიგადირი კ. აკმატკულოვა, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. თედიაშვილი (საქართველოს სსრ), ყირგიზი მეთეოკლასელი მოსწავლე გ. პარმანკულოვა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი მ. კვეზერელი-კოპაძე, მწერალი ლ. თაბუკაშვილი (საქართველოს სსრ).

მაუბების უმოქმედებას — საზელმწიფოებრივი ზრუნვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ კარგად ჩანს კომუნისტური პარტიის კურსი — ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ცხოვრებაში შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების კურსი, დაუცხრომელი ზრუნვა საბჭოთა ხალხის სულიერი ზრდისათვის.

ამ ზრუნვის კიდევ ერთი ნათელი გამოვლინება იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების, ჩრდილოეთ კავკასიის, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა ორდღიანი ზონალური თათბირი, რომელიც ამ დღეებში ბაიმანთა თბილისში.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

„პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“ — ამ თემას მიუძღვნა თავისი მოხსენება საკავშირო პროფსაბჭოს კულტურულ-მასობრივი განყოფილების ვამგის მოადგილემ ნ. ნიკონოვმა.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა რეგიონს პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი სრულყოფის მეთოდი — ასეთი იყო თემა საკავშირო პროფსაბჭოს კულტურის უმაღლესი პროფკავშირული სკოლის პრორექტორის რ. რამაზოვის მოხსენებისა.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს კულტურულ-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე ს. ხოშტარია, კიროვაკანის ქიმიური კომბინატის, კრასნოდარის მხარის კავკასუსის რაიონის ლენინის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობა „ყუბანის“, ქალაქ კიროვაბადის ორჯონიკიძის სახელობის კულტურის სასახლის, ქალაქ ორჯონიკიძის ქარხანა „ელექტროუთიის“, ქალაქ გროზნოს ქიმიკოსთა, ქალაქ მახაჩყალის III ინტერნაციონალის სახელობის, ქალაქ ნევინომინსკის ქიმიკოსთა კულტურის სასახლეების დირექტორები: მ. სტეპანიანი, მ. გრებენიკოვი, ჯ. აბასოვი, ტ. კოდოევა, ა. პოპოვი, ნ. ბულიჩოვი, ვ. იარცევი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამში სკკპ XXV ყრილობაზე, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, ნაჩვენებია ერთადერთი გზა, რომელიც უზრუნველყოფს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ეფექტიანობის ამაღლებას. ეს არის კომპლექსური მიდგომა აღზრდის მთელი საქმის დაყენებისადმი, სწორედ ეს არის იდეურ-პოლიტიკური შრომითი და ზნეობრივი აღზრდისა და მშრომელთა სხვადასხვა ჯგუფების თავისებურებათა გათვალისწინების უზრუნველყოფა.

ამ მიმართულებით დაუღალავ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები. განსაკუთრებით გაანტურდა ეს ორგანიზაციული საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვისა და მიღების პერიოდში. კიდევ უფრო განვითარდა მასობრივ-პოლიტიკური შუშაობის ისეთი ფორმები, როგორიც არის შრომითი დიდების დღესასწაულები, შრომის ვეტერანთა. სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა პატივება. რესპუბლიკაში მოქმედებს 95 პროფკავშირული სახალხო უნივერსიტეტი, სადაც დადის 23 ათასამდე მშრომელი, ხუთი ათასით მეტი, ვიდრე მეცხრე ხუთწლედის დამლევს. დღის რესპუბლიკაში არ არის სახალხო მეურნეობის დარგი, სადაც პროფკავშირული უნივერსიტეტები არ მუშაობდნენ.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს აგრეთვე შრომელთა კომუნისტური აღზრდის დარგში პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის მრავალფეროვანი გამოცდილება. მთელი რიგი გამოსვლები შეიცავდა კონკრეტულ წინადადებებსა და რეკომენდაციებს, რომელთა მიზანია კულტურულ-საგანმანათლებელო დაწესებულებების მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება, კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა.

ყურადღება გაამახვილეს პრობლემებზე, რომელთა გადაჭრა აამაღლებს პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების როლს პიროვნების ჰარმონიული განვითარების საერთო სისტემაში. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მთლიანად უნდა გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობანი მხატვრულ თვითმოქმედებაში მშრომელთა ფართო მასების ჩასაბმელად. ამისათვის საჭიროა შეიქმნას შესაბამისი პირობები მხატვრულ შემოქმედებაში მონაწილეობისათვის: ეს ეხება, პირველ რიგში, თვითმოქმედების მატერიალური ბაზის განმტკიცებას, კლუბებისა და წითელი კუთხეების მშენებლობისა და შეკეთებისათვის გამოყოფილი სახსრების მთლიანად და ეფექტიან გამოყენებას.

პროფკავშირულ ორგანიზაციებს ევალებათ ყოველნაირად შეუწყონ ხელი სახალხო თეატრებისა და მოყვარულთა მუსიკალური, ქორეოგრაფიული, საგუნდო კოლექტივების, სახვითი ხელოვნების სტუდიების. კინო და ფოტოხელოვნების შემდგომ განვითარებას.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება დასახონ ღონისძიებათა კონკრეტული სისტემა ადგილებზე დადებითი გამოცდილების პრაქტიკული დანერგვისათვის.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე.

(საქინფორმი).



სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანო

საბჭოთა აზერბაიჯანი

58 წლისაა

ერთიან ძმურ ოჯახში

ჩრდილოეთის მენავთობეებისათვის

ახალი საშადრევნე არმატურა უკლებს ფენოვან წნევას, რომელიც ძალით ქვიშების ლუფაში დენთის გაზების წნევას არ ჩამოუვარდება. იგი დაპროექტეს აზერბაიჯანის ნავთობის მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა.

ქვეყანაში ეს ყველაზე გამძლე ნავთობის მოწყობილობა გათვალისწინებულია განსაკუთრებით მძლავრი დედდებრივი ჭაბურღილებისათვის, რომელებიც დასავლეთ ციმბირის გაზის საბადოებშია გაბურღილი. სიახლის შექმნაში მონაწილეობდნენ ქვეყნის რამდენიმე ქალაქის საწარმოები, ხოლო მისი გამოშვება დაიწყეს გროზნოს „კრასნი მოლოტის“ ქარხნის მანქანათმშენებლებმა.

ზემტკიცე შადრევნის არმატურა 60 სახეობის ნავთობის მოწყობილობიდან ერთ-ერთია, რომელსაც ბაქოელ მეცნიერთა პროექტებით ახლა 30 მანქანათსაშენებელი ქარხანა უშვებს. ხუთწლედის მესამე წელს ინსტიტუტის კონსტრუქტორები შექმნიან კიდევ 40 სახეობის თანამედროვე ნავთობის ტექნიკას.

ქალაქი-კურორტი საზღვრებს აფართოებს

65-ბინიანი საცხოვრებელი სახლი შეემატა ქალაქ შუშის ახალ მშენებლობებს. სახლი ახალმოსახლეებს ვადაზე 15 დღით ადრე გადაეცათ. ჩინებული საჩუქარი — 260-ადგილიანი საბავშვო ბაღი — მიიღეს ქალაქის პატარა მოქალაქეებმაც.

გაზაფხულის ამ დღეებში მშენებლები არ ანებებენ სამუშაოთა ტემპს, სრული სვლით მიმდინარეობს ორი 52-ბინიანი საცხოვრებელი სახლის, ცხრასართულიანი სასტუმროს, საზამთრო კინოთეატრის, პურის საცხობების, ბიბლიოთეკის მშენებლობა.

გაჩაღებულ შეჯიბრებაში ტონს იძლევიან კალატოზთა მოწინავე ბრიგადები, რომლებიც დღიურ ნორმებს 110-115 პროცენტით ასრულებენ.

მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით შუშელები მიიღებენ ორი ათასი კვადრატული მეტრით მეტ საცხოვრებელ ფართობს. საზღვრებს აფართოებს შუშა, რომელიც აზერბაიჯანში ერთ-ერთი უდიდესი სამთო-კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტი გახდა.

მიწათმოქმედთა მნიშვნელოვანი რეზერვი

ხანლარის რაიონის სარწყავი მიწათმოქმედების რუკაში წლიანდელ წელს შეტანილია პირველი შესწორება. საექსპლოატაციოდ ვადამდე გადაეცა ახალი წყალსაცავი და სატუმბავი სადგური, რაც წყლით უზრუნველყოფს სკკპ XXV ყრილობის სახელობის საბჭოთა მეურნეობის 700 ჰექტარ ვენახსა და მარცვლეულის ნათესებს.

აქ შეიძინეს საკუთარი ძალებით მცირე რწყვის ობიექტების მშენებლობის მდიდარი გამოცდილება. ისინი წყლით უკვე უზრუნველყოფენ დაახლოებით 23 ათას ჰექტარს. სარწყავი სისტემების სამმართველომ გამოიკვლია მთის მდინარეები და წყაროები, შექმნა საპროექტო ბიურო და დააკომპლექტა საჭირო ტექნიკით აღჭურვილ მექანიზატორთა და მშენებელთა რაზმი. რამდენიმე წლის მანძილზე ამოქმედდა 14 მცირე წყალსაცავი, ხუთი სატუმბი სადგური, ათობით სუბარტეზიული ჭაბურღილი.



სურათზე: ბაქოს ვ. ი. ლენინის სახელობის მეტროპოლიტენის სადგური „ულდუზი“ ერთ-ერთი ულამაზესია აზერბაიჯანის დედაქალაქში.

ვ. ზუმფაროვისა და ი. ხალილოვის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

სოციალისტური მშენებლობის დიადი გეგმა

ვ. ი. ლენინის ნაშრომის „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების“ გამოქვეყნების მე-60 წლისთავი

1918 წლის მარტ-აპრილში ვ. ი. ლენინმა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით დაწერა „თეზისები საბჭოთა ხელისუფლების ამოცანების შესახებ ახლანდელ მომენტში“, რომელიც შემდეგ გამოქვეყნდა სათაურით „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“. ეს შრომა პირველად დაიბეჭდა გაზეთებში „პრავდასა“ და „იზვესტიაში“ 1918 წლის 28 აპრილს.

ბელადის ამ ნაშრომში გაშუქებული კაპიტალისმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, პროლეტარული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები და მისი განხორციელების კონკრეტული გზები.

სოციალისტური ეკონომიკური საფუძვლების შექმნის რთული ამოცანების გადაჭრა ჩვენს ქვეყანას მძიმე სავარეო და საშინაო პირობებში უხდებოდა. მართალია, ლენინის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის შედეგად შესაძლებელი გახდა ქვეყნის გამოყვანა ომის მდგომარეობიდან, მაგრამ მოპოვებული მშვიდობა არ იყო მტკიცე. ამიტომ საჭირო გახდა ძალისა და ენერგიის უკიდურესად დაძაბვა, რათა საბჭოთა ქვეყანას მაქსიმალურად გამოეყენებინა დროებითი შესვენება რესპუბლიკის განმტკიცებლად.

მიუხედავად სიძნელეებისა, კომუნისტურ პარტიას, რომელიც შეიარაღებული იყო საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების ცოდნით, საბჭოთა რესპუბლიკა ბურჟუაზიული ხელისუფლების დამხობის ეტაპიდან 1918 წლის გაზაფხულზე გადაეყავდა ახალ ეტაპზე — მოპოვებული გამარჯვების განმტკიცებისა და სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლების შექმნის ეტაპზე. ძველი ამოცანები ადგილს უთმობდა ახალ ამოცანებს.

ახალი ამოცანების გადაწყვეტის საქმეში ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა იმ ძირეული განსხვავების სწორად გაგებას, რომელიც არსებობს სოციალისტურ და ბურჟუაზიულ რევოლუციებს შორის.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი განსხვავება წინანდელი ბურჟუაზიული რევოლუციებისგან ის არის, რომ იგი 1917 წლის 25 ოქტომბრით არ დამთავრდა, არამედ მხოლოდ დაიწყო და მას შორეგი მთავარ ამოცანად დადგა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის ფორო. მაღალ ფორმებზე გადასვლა, ბურჟუაზიისათვის ისეთი მდგომარეობის შექმნა, როცა მას აღარ შეეძლება არსებობა და არც ახლად წარმოობა. ამის მიღწევის საშუალებად ვ. ი. ლენინს კერძო კაპიტალისტური საკუთრების მოსპობა და წარმოების სოციალისტური სისტემის მოწყობა მიაჩნდა.

მაგრამ ამ ამოცანის გადაჭრა კომუნისტური პარტიის წინაშე აყენებდა ახალ ამოცანებს. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა კომუნისტურმა პარტიამ დაარწმუნოს ხალხის უმრავლესობა, რომ სწორია მისი პროგრამა და ტაქტიკა. ბოლშევიკების პარტიამ ამ ამოცანის მთავარი ნაწილი წარმატებით გადაწყვიტა.

ბოლშევიკური პარტიის მეორე მთავარი ამოცანა იყო პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა და იქსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვა. ეს ამოცანაც უმთავრესად გადაწყვეტილი იყო.

ამის შემდეგ რიგში დგება მორიგი, ახალი მომენტის თავისებურებათა გამომხატველი მესამე ამოცანა — რუსეთის მმართველობის ორგანიზაცია. „ამ ამოცანას, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენ ვაყენებდით და ვწყვეტდით 1917 წლის 25 ოქტომბრის მეორე დღესვე, მაგრამ დღემდე... ამ მმართველობის ამოცანა **არ შეიძლება** გამხდარიყო **მთავარი, ცენტრალური** ამოცანა.

ახლა იგი ასეთი გახდა. ჩვენ, ბოლშევიკების პარტიამ, რუსეთი დავარწმუნეთ. რუსეთი ჩვენ **ბრძოლით წავართვით** მდიდრებს ლარიბებისათვის, ექსპლოატატორებს — მშრომელთათვის. ახლა ჩვენ რუსეთი უნდა ვმართოთ“.

ამრიგად, მართვა-გამგეობის ამოცანებს ვ. ი. ლენინი მიიჩნევდა მოვლენათა ისტორიული ჯაჭვის იმ ძირითად რგოლად, რომელსაც პარტია უნდა ჩასჭიდებოდა, რათა შეენარჩუნებინა მთელი ჯაჭვი და მტკიცედ მოემზადებინა სოციალიზმზე გადასვლა. ამიტომ არის, რომ ბელადს მმართველობის ორგანიზაცია საბჭოთა ხელისუფლების მორიგ მთავარ ამოცანად, სოციალისტური ეკონომიკური საფუძვლების შექმნის ერთერთ ძირითად პირობად მიაჩნდა.

მეცნიერული კომუნიზმის თეორიასა და პრაქტიკაში ვ. ი. ლენინს უდიდესი წვლილი ის არის, რომ მან დაამუშავა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, როგორც სამეურნეო მშენებლობის და მართვა-გამგეობის ძირითადი პრინციპი პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში.

დემოკრატიული ცენტრალიზმი. ლენინის აზრით, ნიშნავს ეკონომიკის ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობის შეხამებას მასების ფართო მონაწილეობასთან მეურნეობის მართვა-გამგეობაში. ლენინს გადაჭრით მოითხოვდა, რომ საწარმოებს უნდა ხელმძღვანელობდნენ დირექტორები, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება ნიშნავს და აკონტროლებს.

ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენების ისტორიული ამოცანის გადაწყვეტას ხელს უშლიდა და ართულებდა ქვეყნის ეკონომიკაში მრავალწყობიანობის არსებობა.

გარდამავალ პერიოდში, როდესაც კაპიტალიზმის პოლიტიკური ბატონობა უკვე დამხობილია, მაგრამ სოციალიზმი ჯერ კიდევ არ არის აშენებული, ერთდროულად არსებობენ სოციალიზმამდელი ეკონომიკური წყობისა და სოციალისტური წყობილების ელემენტები. ეს იმას ნიშნავს, რომ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა მრავალწყობიანია.

გარდამავალ პერიოდში ძირითად და არაძირითად კლასებს შორის არსებობს ანტაგონისტური წინააღმდეგობა და ბრძოლა მათ შორის ჩაღდება პრინციპით: „ვინ ვინ“? ამიტომ გარდამავალ პერიოდში პროლეტარიული სახელმწიფო ცვლის ბრძოლის მეთოდებს. იგი კაპიტალისტური ელემენტების ჯერ შეზღუდვისა და გამოდევნის პოლიტიკას ატარებს, ხოლო შემდეგ კი მთლიანი ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადადის. გარდამავალი პერიოდის დასაწყისში რუსეთი წვრილგლეხური ქვეყანა იყო. აქ ჭარბობდა წვრილსაქონლური წარმოება, რომელიც კაპიტალიზმის შენარჩუნებისა და წარმოშობის მასაზრდოებელი წყარო იყო. ამიტომ აუცილებელი გახდა წვრილი დაქსაქსული გლეხური მეურნეობის მსხვილი სოციალისტური მეურნეობის რელსებზე გადაყვანა და წარმოებასა და განაწილებაზე სახელმწიფოებრივი, საერთო-სახალხო აღრიცხვისა და კონტროლის დაწესება. „ან ჩვენ დავუმორჩილებთ ამ წვრილ ბურჟუას ჩვენს კონტროლსა და აღრიცხვას... ანდა იგი აუცილებლად და უსათუოდ დაამხობს ჩვენს, მუშურ ხელისუფლებას“ — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი.

ამრიგად, საყოველთაო-სახალხო აღრიცხვისა და კონტროლის ორგანიზაცია იდგა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მორიგ ამოცანად.

ვ. ი.

ᲛᲐᲡᲔᲯᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲝᲚᲘᲗ!

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲙᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘ ᲫᲚᲘᲐᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲡ ᲣᲮᲐᲛᲔᲑᲡ ᲛᲬᲠᲐᲛᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲓᲐᲬᲘᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲡ ᲣᲬᲔᲕᲔᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ; ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲡ, ᲙᲣᲗᲣᲠᲝᲑᲘᲡ, ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲔᲑᲡ, ᲣᲧᲐᲘᲠᲐᲗᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲤᲚᲐᲜᲒᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ, ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲮᲘᲐᲜᲣᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲖᲛᲘᲡ; ᲮᲔᲚᲘ ᲣᲬᲧᲝᲗᲔᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲐᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲓᲐᲜ.

ᲠᲔᲠᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ 135

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝᲛ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲚᲘᲗᲝᲜᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲪᲓᲔᲚ-ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲭᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ.

□ □

ᲒᲐᲛᲝᲜᲘᲠᲐᲕᲐ, რომ ქარხანაში (დირექტორი ა. კერესელიძე, მთავარი ინჟინერი ა. ლოლუა) ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სახელმწიფო ქონების სიმაღლით დაცვას, ენერგორესურსებისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვას. საწარმოს ტერიტორია შეუღობავია, სადაც თავისუფლად შედის კერძო პირთა მსუბუქი ავტომანქანები და სხვა ტრანსპორტი, საწყობებსა და საამქროებში არ არის დამცავი სიგნალიზაცია, ეს კი დატაცება-განაავების რეალური პირობებს ქმნის. მარტო უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე აქ დატაცების თერმიტი შემთხვევა მოხდა. ისიც აღინიშნა, რომ ცენტრალური გათბობის მოუწყობლობის გამო ზამთარში აქ თვითნაკეთ ელექტროღუმელებს იყენებენ, რაც იწვევს ელექტროენერგიის დიდი რაოდენობით გადახარჯვას, ხანძრის წარმოშობის საფრთხეს და ა. შ.

საწარმოში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ფართო მოხმარების პროდუქციის გამოშვებისათვის საჭირო პირობების შექმნას, მასალების ეკონომიურად ხარჯვას. შარშან ფანჯრის ლავგარდნებისათვის ათ ტონამდე დეფიციტური მთლიანი ნაგლინი ლითონის მილი დახარჯეს. უფრო მეტიც, მინისტრის მოადგილემ ფ. კახიძემ დაამტკიცა ქარხნის ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ტექნიკური პირობები უკანგავი ფოლადის საათის სამაჯურების გამოსაშვებად. ეს მაშინ, როცა არც ქარხანას და არც სამინისტროს ასეთი მასალის ფონდი არ გააჩნდა. მიუხედავად ამისა, ქარხანამ სხვადასხვა ორგანიზაციიდან ტექნიკური დახმარების მიზნით შეძენილი მასალისაგან გამოუშვა და საჯაჭო ჭსელს სარეალიზაციოდ გადასცა 5.450 სამაჯური.

მოუგვარებელია ფართო მოხმარების პროდუქციის ხარისხის კონტროლიც. სპეციალისტებისა და აპარატურის უქონლობის გამო არ წარმოებს ქრომისა და ნიკელის ხსნარების ქიმიური შემადგენლობის ანალიზი, ლავგარდნების მოქრომვის ხარისხიანობის შემოწმება და ა. შ.

სერიოზული ნაკლოვანებებია კადრების შერჩევა-განაწილების სამმართველოში. მაგალითად, ფართო მოხმარების პროდუქციის საამქროს უფროსად და მატერიალურ პასუხისმგებლად მუშაობს ო. ადეიშვილი, რომელსაც უმაღლესი პედაგოგიური განათლება აქვს. ამავე საამქროს ოსტატ-კონტროლიორად მუშაობს არისპეციალისტი რ. გუსაინი, ლაბორატორიაში ინჟინერ-ქიმიკოსად გაფორმებული დირექტორის რძალი, სპეციალობით სწავლული აგრონომი — ნ. კერესელიძე, მნორმირებლად — დირექტორის შვილიშვილი მ. კადომცევი, რომელსაც ასევე არა აქვს სათანადო განათლება. სამწუხაროდ, თვით ქარხნის დირექტორს ა. კერესელიძესაც არ მიუღია უმაღლესი განათლება.

წელს იანვარში ქარხანაში სამინისტრომ კომპლექსური დოკუმენტური რევიზია მოაწყო, მაგრამ რატომღაც ეს ნაკლოვანებები რევიზიის მასალებში ასახული არ არის.

სხდომაზე ითქვა, რომ ეს დარღვევები და ნაკლოვანებები სამინისტროს და ქარხნის ხელმძღვანელების, კერძოდ მინისტრის მოადგილის ფ. კახიძის მხრივ კონტროლის შესუსტებითა და არსებული ფაქტებისადმი ზერელე მიდგომით არის გამოწვეული. დადგენილია, რომ ქარხნის დირექტორი ა. კერესელიძე სწორად არ ეკიდება სახელმწიფო ქონებას. მაგალითად, „გაზ-69“ მარკის ავტომანქანას, რომელიც სხვა ორგანიზაციაზეა გაფორმებული, მართავს და თავისი საჭიროებისათვის იყენებს დირექტორის ვაჟიშვილი ჯ. კერესელიძე. არის კიდევ სხვა სერიოზული დარღვევები, რომელთაც კომიტეტის სხდომამ მკაცრი შეფასება მისცა.

კომიტეტმა ამ საკითხზე ვრცელი დადგენილება მიიღო. ამასთან ქარხნის დირექტორი ა. კერესელიძე გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან, ხოლო მთავარ ინჟინერს ა. ლოლუას სასტიკი საყვედური გამოეცხადა.

ᲣᲐᲮᲚᲘᲡᲘᲐᲜᲘ წლებში თერჯოლის რაიონის წარმატებებზე ბევრი თქვა და დაიწერა. მიღწეულები კი მართლაც ხაამაყო გვაქვს. შარშან რაიონის სახალხო მეურნეობის უკლებლივ ყველა დარგში სახელმწიფო გეგმები და დავალებები დიდი გადაჭარბებით შეხრულდა, მთელ რიგ დარგებში მიღწეულია მეათე ხუთწლედის ბოლო წლის მიჯნები. მაღალი მაჩვენებლებისათვის თერჯოლის რაიონი თავისი არსებობის ისტორიაში პირველად დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ეს დიდი გამარჯვება მოპოვებულია პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, ნეგატიური მოვლენებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების შედეგად, რაშიც უდაოდ დიდი დამსახურება მიუძღვის სახალხო კონტროლიორთა 1.800-კაციან კოლექტივს.

ახლახან კონტროლის კომიტეტმა დაამთავრა თერჯოლის ინვალიდთა სახლ-ინტერნატის შემოწმება, სადაც მოვალეობისადმი დირექციისა და საანგარიშო დარგის მუშაკთა ზერელე, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და აღრიცხვა-ანგარიშსწორების ჩაშლის შედეგად განიავებული აღმოჩნდა 6.045 მანეთის მატერიალური ღირებულებანი. კომიტეტი განიხილავს ამ შემოწმების შედეგებს და მკაცრად მოპასუხეს ყველა კონკრეტულ დამნაშავეს.

შარშან ფულადი სახსრების ხარჯვის საქმეში დაშვებული დარღვევებისათვის დაისჯა 25 თანამდებობის პირი, მათ შორის 12-ს სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით დაეკისრა 887 მანეთის გადახდა, ხოლო 13-ს გამოეცხადა საყვედური ან სასტიკი საყვედური. ფულადი ანაზღაურება დაეკისრათ თერჯოლის რაიკომპერატივის ყოფილ თავმჯდომარეს ვ. ბუსკოვაძეს, ცენტრალური საავადმყოფოს მთავარ ბუღალტერს ქ. ცქიტიშვილს, თერჯოლის სადაბო და ღვინკითის საოფლო საბჭოების აღმასკომების ბუღალტრებს ქ. კაპანაძეს, ლ. ლოლუაშვილს და სხვებს.

სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ნეგატიური მოვლენები განსაკუთრებით შემორჩა მოსახლეობის მომსახურების სფეროში და მუდმივმოქმედი კონტროლი დაიწესა ამ სისტემის მუშაობისადმი. დარღვევებისათვის კომიტეტმა დასაჯა რესტორნების „გაზაფხულისა“ და „ვოდოგნის“ ყოფილი დირექტორები ბ. გოგიაშვილი და ალ. რეგიშვილი, ჩაბარის უნიფორმალური მაღაზიის დირექტორი ბ. ბუიძე, თერჯოლის სასაუზმის გამგე ო. ოდიკაძე და სხვები.

ამას წინათ ხაქართველოს ალკკ თერჯოლის რაიკომთან არსებული „კომკავშირული პროექტორის“ შტაბის წარმომადგენლებთან ერთად შემოწმდა თერჯოლის ავტოტექმომსახურების სადგურის წყალწოთელას რეცხვა-შეზეთვის საამქროს მუშაობა, სადაც მალულად, ყოველგვარი საბუთისა და შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვის გარეშე ბრემონტებდნენ რობაქიძე) ხარბევის სადურგლო საამქროს მუშაობა. გამოირკვა, რომ ამ საამქროში მატერიალურად პასუხისმგებელ პირად მოუწვევიათ სახელმწიფო ქონების მითვისებისათვის ნასამართლევი და სკკპ რიგებიდან გარიცხული გ. ხელაძე. საამქრო ინდივიდუალური შეკვეთების საფუძველზე ეწევა შეკვეთების მიღებას, მაგრამ საამქროს ხელმძღვანელები საჯაროდ არ მიიჩნევენ შეკვეთებზე ქვითრების გამოწერას. შემოწმების დღეს რამდენიმე დარღვევა გამოვლინდა.

კარგი იქნება, თუ „საქყოფრემმწინის“ ტრესტის ზესტაფონის სარაიონთაშორისო სარემონტო სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელები უფრო ღრმად ჩასწვდებიან ამ საამქროს და საერთოდ მთდამი დაქვემდებარებული უბნების მუშაობას, განაზორციელებენ მკაცრ ღონისძიებებს არსებული დარღვევა-დამანაშაულებლების უსწრაფესად აღმოფხვრისათვის.

სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეისწავლა რაიონის ბენზინგასაწყობ სადგურებში ნავთობპროდუქტების შენახვის, აღრიცხვისა და გაცემის სისწორის (საკითხი. დადგინდა, რომ წყალწითელას და სარბევის ბენზინგასაწყობ სადგურებში შეუმოწმებელ საზომ-საწონ ხელსაწყოებს ხმარობდნენ, ზეთების აღრიცხვას არ ანდენდნენ სვეტების მრიცხველებით, მოისუსტებდა მომსახურების კულტურა და სხვა. აღნიშნული საკითხი განიხილეს რაიხაბჭოს აღმასკომის სხდომაზე და დაისახა ღონისძიებანი ინკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ამასთან ერთად საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ერთი რამ — რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული 4 ბენზინგასაწყობი სადგურიდან ნაკლოვანებანი აღმოჩნდა იმ სადგურებში, რომლებიც ექვემდებარება ქუთაისის ნავთობბაზას, ხოლო იმ სადგურებში, რომლებიც ზესტაფონის ნავთობბაზას ეკუთვნის, შედარებით წესრიგია. ჩვენი აზრით, უკეთესი იქნება ბენზინგასაწყობი სადგურები ერთ ხელმძღვანელობას დაექვემდებაროს, რაც ხელს შეუწყობს მათი მუშაობისადმი კონტროლისა და გავლენის გაძლიერებას.

მეათე ხუთწლედი ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედია, ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ სახალხო კონტროლის ჯგუფების აქტიურობის ამაღლებას. კომიტეტის სხდომაზე განვიხილეთ თერჯოლის საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციის საბჭოს სახალხო კონტროლის ჯგუფის მუშაობის საკითხი საამქროს სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის გასუფთავებლად განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ. მიღებული დადგენილება გავუგზავნეთ სახალხო კონტროლის ჯგუფებს ადგილებზე ამ ხასიათის ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა განსახორციელებლად.

ახლა კომიტეტი პროკურატურასთან ერთად სწავლობს რაიონში საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციისა და შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის საკითხს. ჩვენ ვამოწმებთ და ვიკვლევთ რაიონის საწარმოებსა და ორგანიზაციებში წამატებებისა და თვალისსაჩვენის ფაქტებს. ასეთი ფაქტები გამოვლინდა ვაბაჯირის მებოსტნეობა-მერქანეობის საბჭოთა მეურნეობაში — 1.550 მანეთი, თერჯოლის ავტოსატრანსპორტო საწარმოში — 371 მანეთი, სადაც შემკვეთი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ხელშეწყობით ავტომანქანების საგზურებში ხელოვნურად ადიდებდნენ ტეირთნიდვის მანძილს, ხელს უწყობდნენ აღურიცხავი საწვავ-საპოხი მასალების ნაშეტის შექმნას და ხელფასების არასწორად გაცემას. სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით 3 თვის ხელფასის ოდენობით ფულადი დანარიცხი დაეკისრა სახბანკის თერჯოლის განყოფილების ინჟინერს ზ. კეკრანაძეს.

სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი, მისი ჯგუფები და საგუშაოები ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ გამოცდილებას იძენენ. ისინი მოიკავლეს აქტიურ დახმარებას და მხარდაჭერას აღმოიჩენენ რაიონის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანოებს მტკიცე სახელმწიფო დისციპლინის დამყარებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.

Თ. ᲐᲠᲐᲑᲘᲫᲔ,
თერჯოლის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

ᲠᲝᲪᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲤᲮᲘᲖᲚᲝᲑᲡ

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ᲤᲮᲘᲖᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ე. Ო. ᲞᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲨᲔᲡᲐᲓᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚ ᲨᲔᲡᲐᲓᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲥᲛᲜᲔᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ. ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲡᲐᲐᲢᲝᲛᲝ ᲮᲣᲗᲯᲣᲗᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲐᲕᲘ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲐᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ.

ᲛᲔᲗᲐᲣᲠ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔᲗᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

ᲩᲕᲔᲜᲝ საწარმოს მიერ მოპოვებული ბევრი წარმატება მეშახტეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების აქტიურობის შედეგი რომ არის, ამაში ახლა ეჭვი არავის ეპარება. რიგითი ადამიანები ვერ ურიგდებიან ნაკლოვანებებს, უდისციპლინობას, უყაირათობას, საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას.

შახტის მეთაური ჯგუფი, რომელიც ორასამდე კონტროლიორს, 18 საუბნო ჯგუფსა და 13 საგუშაგოს აერთიანებს, ყოველდღიურად დიდძალ წერილობითსა და სიტყვიერ სიგნალს იღებს. ყოველ მათგანში ასახულია რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ფლაგმანის — ლენინის სახელობის შახტის ელექტროვის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები. ეს სიგნალები, ჩვენ, სახალხო კონტროლიორებს, მოგვიწოდებს ახლოს ვიყოთ წარმოებასთან, ქვანახშირის ამოღების ძნელ საქმესთან.

მეშახტეები განსაკუთრებით ვერ ურიგდებიან ცალკეული პირების უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას მინდობილი საქმისადმი, შრომის დისციპლინის შესუსტებას, სამეურნეო ჩამორჩენას. გასული წლის მიწურულში, მახ შედეგ, რაც მეშახტეები ღია პარტიულ კრებაზე გულდასმით გაეცნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მასალებს, მეთაურ ჯგუფში მოვიდა სიგნალი: მთელ რიგ საექსპლოატაციო უბნებში მაქსიმალურად ვერ იყენებდნენ საწარმოო სიმძლავრეებს. შემოწმებამ ფაქტები დაადასტურა: კონტროლიორებმა ფეხდაფეხ შემოიარეს შახტის რვავე საექსპლოატაციო უბნის ლავები და ჰორიზონტები. ყველაზე ცუდი მდგომარეობა პირველ საექსპლოატაციო უბანში (უფროსი ზ. მარგველაშვილი) აღმოჩნდა. საქმე ის იყო, რომ უბნის ხელმძღვანელები გაიტაცა ქვანახშირის მონგრევის საქმემ და დროულად არ იზრუნეს ახალი სანგრევი ხაზის მომზადებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის. გარდა ამისა, ოცდაშესამე ამოსაღებ ველში არ განხორციელდა ეფექტიანი ღონისძიებანი ქვანახშირის მეორე ფენში შექმნილი რთული გეოლოგიური მდგომარეობის დასაძლევად, სახელდობრ, ქვანახშირის ფენი არ გაჟღინთეს საკმაო რაოდენობის წყლით. ამას არაერთხელ მოჰყოლია ავარიული სიტუაცია, შეფერხებულა ქვანახშირის ამოღება. გეგმის შესრულება გაძნელა აგრეთვე საევნტილაციო გვირაბის გაყვანის დაგვიანებამ.

მეთაური ჯგუფის წინადადებით უბანში შექმნილ მდგომარეობაზე იმსჯელა შახტის პარტიულმა კომიტეტმა და დასახა ღონისძიება. გაძლიერდა გვირაბგამყვანთა ბრიგადა. გარდა ამისა, საევნტილაციო გვირაბის გაყვანის დასაჩქარებლად მოსამზადებელი უბნიდან გამოიყო გამყვანთა ერთი ძლიერი ბრიგადა. ასეთმა ტექნიკურ-ორგანიზაციულმა ღონისძიებებმა დააჩქარა საევნტილაციო გვირაბის გაყვანა.

ცოტა ხნის შემდეგ მეთაური ჯგუფი და პარტიული კომიტეტი კვლავ დაუბრუნდნენ პირველი უბნის საკითხს. გამოითქვა აზრი, რომ ძვრება იყო უკეთესობისაკენ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. ამიტომ საჭირო შეიქნა უბნის უფროსი ზ. მარგველაშვილი გადაგვეყენებინა თავის თანამდებობიდან, იგი ცალის უფროსად იქნა ჩამოქვეითებული. შახტის ადმინისტრაციამ მის ნაცვლად უბანში გაგზავნა გამოცდილი სამთო ტექნიკოსი რ. კიკოლიაშვილი. ახალმა ხელმძღვანელმა საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი და მდგომარეობას თანდათან ასწორებს.

ამ ბოლო ხანს შახტში ძირეული ცვლილებები მოხდა შრომის დისციპლინის განმტკიცების, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების საქმეში. ერთი სიტყვით, ფრთა შეისხა რუსთაველ მეფოლადეთა პატრიოტუმა თაოსნობამ — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვერდით!“. დავასახელებთ ციფრს: შარშან შახტში სამუშაოზე მივიღეთ 289 კაცი, შახტიდან კი წავიდა 260 კაცი. ისიც თითქმის უმრავლესობა სპატიო მიზეზით. წინათ კი სამუშაოს ბევრად უფრო მეტი მუშა ტოვებდა, ვიდრე მოსვლის მსურველი იყო. შარშან საგრძნობლად შემცირდა აგრეთვე გაცდენილი სამუშაო საათების რაოდენობა. მაგრამ მიმდინარე წლის მუშაობის შედეგები როცა განვიხილეთ, დავრწმუნდით, რომ ყველა უბანში, გარდა მეორე საექსპლოატაციო უბნისა, სამუშაო დღეების გამცდენები საკმაოდ მომრავლდნენ. სულ შემოწმების დროს გაცდენილი იყო 126 კაცდღე. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს დაეკარგა 300 ტონამდე საკოქსე ქვანახშირი. ასეთი მდგომარეობა კონტროლიორებმა სამართლიანად ჩათვალეს საგანგაშოდ და უყურადღებად.

მეთაურმა ჯგუფმა გადაწყვიტა მოეწყო მასობრივი რეიდები. ასეც მოვიქეცით. აქტიურმა კონტროლიორებმა, კომუნისტებმა სპ. ბერკაიამ, ო. ბოჭორიშვილმა, ე. გაბაღაძემ და სხვებმა შრომის დისციპლინის დარღვევებ შემთხვევები გამოავლინეს. რეიდის დროს შეგროვილი მასალები მეთაურმა ჯგუფმა ღრმად გაანალიზა და საკითხი საშახტო კომიტეტში დააყენა. საშახტო კომიტეტის სხდომაზე თავი მოუყარეთ სამუშაო დღის ყველა გამცდენსა და დამგვიანებელს. კონტროლიორები და სამახტო კომიტეტის წევრები გულახდილად ესაუბრნენ მათ. ბევრმა მუშამ მოინანია თავისი დანაშაული და პირობა დადო, რომ მომავალში ასეთ რამეს არ ჩაიდენდა.

ზოგიერთი ხელმძღვანელი, რომლებმაც დაუშვეს შრომის დისციპლინის შესუსტება, სასჯელს ვერ ასცდა. ეს უპირველესად ითქმის მოსამზადებელი უბნის უფროსზე გ. კობახიძეზე. ამ უბანში, როგორც გაირკვა, ბევრი მუშა სამუშაოდ გვიან მოდიოდა და ცვლის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე ტოვებდა სანგრევს. ანალოგიური შემთხვევა იყო მოძრაობისა და დალამვის უბნებში, რომლებსაც მ. ჩუბინიძე და ე. კუბლაშვილი ხელმძღვანელობენ. უბნის ყველა მეთაურს შახტის ადმინისტრაციამ საყვედური გამოუცხადა და გააფრთხილა მომავალში არ დაუშვან შრომის დისციპლინის დარღვევის ასეთი შემთხვევები. ეს ბრძანება კონტროლიორებმა შახტის ყველა ქვეგანაყოფის წევრებს გააცნეს. მიღებულმა ზომებმა ნაყოფი გამოიღო. ყოველივე ეს შახტის რიტმული მუშაობით გამოიხატა.

ჩვენს შახტში ახლა მაინც ყველაზე მთავარი საკითხი მონგრეული ქვანახშირის ხარისხია. პროდუქციის რაოდენობის პრობლემა უკვე გადაწყვეტილია. დიდი ხანია, რაც საწარმომ საპროექტო სიმძლავრეს მიაღწია და საგრძნობლად გადააჭარბა კიდეც, რაც შეეხება ხარისხს, აქ ნამდვილად გვეჭირს. ხდება ხოლმე, როცა ესა თუ ის მნგრეველი და ცვლის უფროსი არ იცავს ქვანახშირის მონგრეული დაწესებულ პასპორტს. გასული წლის დამლევს და მიმდინარე წლის დადგეგს მესამე (უფროსი კ. ყულაურაძე) და მეხუთე (უფროსი ბ. ჩაფიძე) საექსპლოატაციო უბნებში გააუარესეს მონგრეული ქვანახშირის ხარისხი. ეს შეუმჩნეველი როდი დარჩა ხარისხის კონტროლის სექტორს, რომელსაც კომუნისტი, სახალხო კონტროლიორი ი. აბულაძე ხელმძღვანელობს. სექტორის წევრებმა გულდასმით დაათვალიერეს ხსენებული უბნების მიწისქვეშა სანგრევები და ყურადღებიდან არ გამორჩენიათ დარღვევები. მაგალითად, მესამე საექსპლოატაციო უბნის ცვლის უფროსები დ. ბოკორაშვილი და ო. ქასრაძე მნგრეველებს ნებას რთავდნენ გამომუშავებული ლავებიდან გამოეტანათ იქ დარჩენილი უხარისხო ქვანახშირი. ასეთი გზით მოპოვებული ქვანახშირი აუარესებდა მთლიანი პროდუქციის ხარისხს. მეხუთე საექსპლოატაციო უბნის ცვლის უფროსები ო. ბაკურაძე და ვ. კვატაშიძე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ თვით სანგრევში თვალხლული ქანების ნახშირის მასიდან ამორჩევას. ხარისხის კონტროლის სექტორმა ამ დარღვევების შესახებ აცნობა შახტის ადმინისტრაციას. ამ უკანასკნელმა საჭირო ღონისძიება განახორციელა და მდგომარეობა თანდათან სწორდება. შახტის დირექტორის ბრძანებით ოთხივე ცვლის უფროსს საყვედური გამოეცხადა და მათ შეუმცირდათ პრემია. მეთაურმა ჯგუფმა დაავალა ხარისხის კონტროლიორს, ოსტატ ვ. ავალიანს მეტი ყურადღება მიაქციოს ამ უბნებში ქვანახშირის მონგრევის ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობას.

ასე მოქმედებენ შახტის სახალხო კონტროლიორები.

Ჯ. ᲥᲐᲗᲐᲛᲐᲫᲔ,
ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲔᲑᲨᲘ

ᲧᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ

ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრების სწორად გამოყენების შემოწმების შედეგების განხილვისას სახალხო კონტროლის კომიტეტმა გამოარკვია, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამოვლინდა 199.893 მანეთის პროდუქციის გაუნაღდებლობის ფაქტები.

სახალხო კონტროლის კომიტეტმა შემოწმების მასალები სათანადო განხილვისა და რეგირებისათვის შეიტანა პარტიის რაიონულ კომიტეტში.

ᲕᲐᲜᲘ

ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სათბობენერგეტიკული რესურსების გამოყენების მდგომარეობის შემოწმებით რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა გამოარკვია, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ნაკლოვანებებს ურიგდებიან. „

ᲘᲡᲔᲗᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ, ᲩᲕᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲒᲕᲔᲙᲐᲓᲠᲔᲑᲐ!

ᲩᲕᲔᲜ — სტადიონს, „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდს, თბილისელ მაყურებლებს ამ ხეზონში შინ ჩატარებული ორი მატჩის ჯამით უნდა დაგვგროვებინა 225 ქულა, მაგრამ ერთი მაყურებელის უსმაგანი საქციელისა და კანონდაძლისათვის მიცემული გაფრთხილების გამო პრიზისათვის ბრძოლაში შესაბამისად 30 და 10 ქულა დავკარგეთ და ახლა მხოლოდ 185 ქულა გვაქვს. სწორედ ამან და კიდევ ბევრმა სხვა რამემ დააფიქრა ფეხბურთის ქომაგთა დიდი არმია. ამიტომ ისმის ტელეფონის ზარი რედაქციაში, ამიტომ ვდებულობთ მრავალ წერილს და გვესმის გუნდის ბედით, ჩვენი დედაქალაქის პრესტიჟით დაინტერესებული, მოქალაქეობრივი მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული სიტყვები: „პრიზს ყველანი ერთად უნდა დავეუფლოთ, ყველანი უნდა ვიდგეთ წესრიგის სადარაჯოს, სარეველას, ერთეულ ვაი-გულშემატკივრებს, უხამსობას გზა უნდა დავუხშოთ“. ჭეშმარიტი ქომაგების სწორედ ეს განწყობილება გაითვალისწინა „კომუნისტის“ რედაქციამ და ამ წერილს საფუძვლად დაუდო ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანების აზრი ჩვენს დედაქალაქში, მის სპორტულ სარბიელზე სანიმუშო წესრიგის დამყარების თაობაზე, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ᲡᲐᲑᲐᲖᲘᲣᲚᲝ სპორტული სეზონის დამდეგს რესპუბლიკის გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში გამართული თათბირის ანგარიში. თათბირზე, რომელიც მიეძღვნა სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრების მომზადებასა და ორგანიზაციას, აგრეთვე ამ შეჯიბრებებზე სანიმუშო წესრიგის დამყარებას, დიდმნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს. პრინციპული საუბარი იყო, კერძოდ, იმის შესახებ, რომ კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს სპორტსმენთა და მაყურებელთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ლაპარაკი იყო იმ დასანან ინციდენტებზე, რომლებიც თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, სპორტის სასახლეში და რესპუბლიკის სხვადასხვა სპორტულ სარბიელზე მოხდა. ამ თათბირის შინაარსს მკითხველი უკვე იცნობს.

როგორც სპორტის მოყვარულებს მოეხსენებათ, წლევანდელ საფეხბურთო სეზონში დაწესდა პრიზი **„გუნდთან ერთად“**, რომელიც გულისხმობს მასპინძელი გუნდის, მაყურებლის, სტადიონის ადმინისტრაციის შეთანხმებულ მოქმედებას მაღალ დონეზე მატჩის ჩატარებისათვის. საკმარისია რომელიმე კომპონენტი მოიშალოს, რომ შესაბამისად სტადიონს აკლდება ქულები, სეზონის ბოლოს კი ეს ქულები შეიკრიბება და სპორტის მოყვარულებს საშუალება მეცემათ განსაჯონ, ქვეყნის რომელი სტადიონი აღმონნდა ყველაზე კორექტული და სტუმართმოყვარე. ალბათ, ნათელია, რომ აქ სპორტულ შეჯიბრებაზე არ არის ლაპარაკი, აქ პირველ რიგში იგულისხმება ამა თუ იმ გუნდისა და მისი მაყურებლის კულტურა.

აი, ამიტომაც ზედმიწევნით დროული და აუცილებელია ვიბრძოლოთ „დინამოს“ სტადიონზე სანიმუშო წესრიგისათვის როგორც მინდორზე, ისე ტრიბუნებზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ათეულობით ობიექტური მსაჯული გასჯის ვინ ვართ ჩვენ, სტადიონზე მისული მაყურებელი, როგორ გვაქვს შეფასებული ის ზნეობრივი კანონები, რომლებიც ამშვენებს ადამიანს ცხოვრებაშიც და სპორტშიც — ეს თანაბრად ეხება გუნდსაც და სპორტის მოყვარულებსაც.

დიდ სპორტს წმიდა სანახაობრივი დანიშნულების გარდა აქვს აღმზრდელობითი, ესთეტიკური და, თუ გნებავთ, სულისა და ხორცის გამაჯანსაღებელი ფუნქცია. ასეთ მნიშვნელობას ანიჭებს მას ის ცხოვრების წესი, რომელსაც ჩვენ, ჩვეულებრივ, საბჭოურ ცხოვრების წესს ვუწოდებთ. ამიტომ, ბუნებრივია, არანაკლები როლი ეკისრებათ, თვით დიდი სპორტის შემსრულებლებს — სპორტსმენებს. ისინი ქმნიან იმ ფრმტაც, ფერადოვან სანახაობას, რომელიც მილიონობით ადამიანს იტაცებს და იზიდავს. ისინი გამუდმებით სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღებით არიან გარემოსილი, მათ სამართლიანად უწოდებენ დიდი სპორტის რაინდებს და ამ გამოთქმაში გაზვიადების არავითარი ნიშანწყალი არ არის. მაყურებლის ხიყვარული და პატივისცემა რომ დაიმსახურო, იგი უნდა მოხიბლო არა მარტო სპორტული, არამედ მაღალი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი თვისებებით, პიროვნული კულტურით და ინტელიგენტობით, მაღალი შეგნებით და კოლექტივისათვის თავდადებით, მეტოქისადმი რაინდული დამოკიდებულებით და მოგება-წაგების შემთხვევაში ღირსეული ქცევით. ხედავთ, რამდენი კომპონენტისაგან შედგება ის „აბსტრაქტული“ ცნება, რომელსაც ჩვეულებრივ სპორტულ ლირსებას და სპორტსმენის პოპულარობას ვუწოდებთ? აქ მისაღები ლვაწი მხოლოდ ერთია: მომგებიან ქულას ღირსება არ უნდა შესწორო!

სპორტსმენის ყოველი მოძრაობა, ყოველი ეესტი უზარმაზარი აუდიტორიის საპასუხო რეაქციას იწვევს და გასაგებია, როდესაც დიდი თავშეკავება, ტაქტი, კულტურა მართებს ათლეტს, რათა მაყურებელი მხოლოდ და მხოლოდ ჯანსაღ ემოციი გამოიწვიოს. ეს თითოეული სპორტსმენის წმიდათაწმიდა ვალია.

სპორტული სანახაობა წარმოუდგენელია მაყურებელთა გარეშე. რა საცოდაობა იქნებოდა გუნდების ასპარეზობა უმაყურებლოდ. ისიც ყველამ კარგად გიცით, რა აქტიური ფუნქცია აკისრიათ გულშემატკივრებს თამაშის პროცესის ნორმალურად წარმართვაში, რა ბევრი დამოკიდებული მაყურებლის კულტურასა და თავშეკავებაზე. როცა მაყურებელზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში „ციცინათელებზე“ ვფიქრობთ, ეს ის ადამიანებია, ვინც ეკიდებიან „დინამოს“ სტადიონზე, თვალწინ გვიდგას გულშემატკივრებით გაჭედილი ტრიბუნები... შეძახილები, საყვარელი გუნდის მხარდაჭერა, მოწონაალმდეგის ოსტატობის ღირსეულად დაფასება, სათამაშო ნიუანსებში წვდომის უნარი... ერთი სიტყვით, ეს ერთ თეძოვან სანახაობას, რომელიც ბილიონობით ადამიანს ეფატიზებს. ისინი გამუდმებით ამ ფერადოვან სანახაობას, ამ ულამაზეს ფეხბურთის, არამედ ზნეობის ელემენტარულ წესს-კანონში. დაუოკებელი ემოციები არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია მივიჩნიოთ ტემპერამენტის გამოხატულებად, ყოველივე დაუოკებელს და კალაპოტიდან ამოვარდნილს შეიძლება მივცეთ მხოლოდ ერთი კვალიფიკაცია — ხულიგნობა! მათ ძალუძთ თავიანთი მცირერიცხოვნების მიუხედავად ჩირქი მოსცხონ სტადიონს, გუნდს, მაყურებელს, რესპუბლიკას...

გაზეთ „ლელოს“ გუშინდელ ნომერში დაბეჭდა საგულისხმო წერილები, რომლის მიზანია დაიმკვიდროთ ობიექტური მაყურებლის სახელი. წერილში „ტრიბუნებს გუნდიც მართავს“, — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორეტორი, პროფესორი ს. ჯორბენაძე ათასგზის მართალია როცა აღნიშნავს: „ალბათ ბევრს უნახავს თბილისის „დინამოს“ ძველი თამაშების ამსახველი კინოკადრები. რამდენი ქალი და მოზარდია ტრიბუნებზე! მას შემდეგ დიდი ერო გავიდა, თითქოს გამმტკიცდა გულშემატკივრის ინსტიტუტი, კულტურისა და შეგნების საერთო დონეც ამაღლდა, ტრიბუნებზე კი ქალებისა და ბავშვების რიცხვი ძალიან შემცირდა. ხომ არ არის ამაში დამნაშავე ის თითო-ოროლა ავკაცი გულშემატკივარი, გვერდით მჯდომთა წყაურებით გათამამებული უშვერი სიტყვების კორიანტელს რომ აყენებს ტრიბუნებზე?“. აი რატომ უნდა გამოეცხადოთ უშეალოთო ბრძოლა ამ ერთეულებს, აი რატომ უნდა იწვოდეს მათ ფეხქვეშ მიწა. „გუნდთან ერთად“ — პრიზი, რომელსაც ყველა ერთად უნდა დავეუფლოთ, მართლაც რომ დიდებული ჯილდოა ზრდილი ქცევისათვის, ჭეშმარიტი ქომაგობისათვის, ულიერსა ტრიბუნებიდან გაძევებისათვის.

მაყურებლის სიმპათია, ცხადია, საკუთარი გუნდის მხარეზე იქნება. ეგი სტადიონზე მოდის იმ გაწყობით, რომ საყვარელი გუნდისაგან იხილოს კარგი, ლამაზი, ლაღი, უშეღავათო, მაგრამ კორექტული თამაში. იქნება ემოციები, მაგრამ ამ ემოციებს თავისი ზღვარი აქვს. ჯენთა ლეღვის აყოლას, ცხადია, სახიკეთო არაფერი მოაქვს. კარგად ვიცით, რომ ტრიბუნებზე, მაყურებელთა ულმცირე ნაწილის მიერ „ტაქტიკა“ აყალმაყალის გამო დისკვალიფიცირებული ყოფილა სტადიონი და დიდძალი მაყურებელი ვეღარ დასწრებია ფეხბურთის მატჩს — ამ წარმტაც სანახაობას.

წლევანდელმა საფეხბურთო სეზონმა უკვე შემოაბიჯა, ფეხბურთის თბილისელმა ქომაგებმა არაერთხელ დაამტკიცეს, რომ მათ ესმით ფეხბურთი, უყვართ ეს დიდებული თამაში. მას ხომ დიდი სიამოვნება მოაქვს სპორტის ჭეშმარიტი მოყვარულისთვის და გიხარია, როცა რესპუბლიკური თუ საკავშირო გაზეთები ქებით იხსენიებენ ფეხბურთის თბილისელ ქომაგებს.

მაშ ასე, ზომიერებას ნუ ვუღალატებთ და რესპუბლიკის უპირველესი გუნდის გამარჯვებისათვის ჩვენი წვლილი გავიღოთ.

Გ. ᲒᲐᲬᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ — მხოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში, Ლ. ᲗᲝᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ — მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, Ვ. ᲡᲐᲜᲘᲔᲕᲘ — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, Მ. ᲦᲣᲦᲣᲨᲐᲣᲠᲘ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ლენინური პრემიის ლაურეატი, Ვ. ᲛᲐᲣᲠᲯᲐᲠᲘᲐ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, Მ. ᲒᲘᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — მოქანდაკე, სსრ კავშირის სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი, Ნ. ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ — პროფესორი, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, Გ. ᲣᲚᲐᲜᲘᲔᲚᲘ — კომპოზიტორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, Ზ. ᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, Რ. ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔ — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, Ჰ. ᲐᲕᲘᲠᲔᲯᲘᲜᲘ — მწერალი, Ნ. ᲨᲕᲐᲜᲘᲐ — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, სახელოვანი სპორტსმენები, ჩვენი რესპუბლიკის პატრიოტები, სპორტის თავდადებული გულშემატკივრები, ბევრ საგულისხმო, საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გათვალისწინებულ უნდა იქნას ჩვენი დედაქალაქის საზოგადოებრიობის სურვილი და შეიქმნას მუდმივმოქმედი ყიური, რომელიც ყოველი მატჩის შემდეგ პირუთვნელად, მთელი სიმკაცრით შეაფასებს მაყურებელთა, ფეხბურთელთა და სტადიონის მუშაკთა მოქმედებას, თუ საჭირო იქნება შეაფასებს მსაჯის მოქმედებასაც და ყოველი თამაშის შემდეგ პრესისა და ტელევიზიის საშუალებით მოსახლეობას გააცნობს თავის აზრს. დროდადრო სპეციალური ყიური ამ მოვალეობის შესრულებას ყიურის კოლექტიური წევრის უფლებამოსილებით დააკისრებს უმაღლესი სასწავლებლების, ჭარხნებისა თუ დაწესებულებების კოლექტივებს.

ვფიქრობთ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს საზოგადოებრიობის აზრს და ყიურის წევრებად ჩათვლის ამ წერილის ავტორებს, შეუქმნის მათ სათანადო პირობებს და ამით ხელს შეუწყობს სპორტსტიფო პრიზის მოპოვებას.

სპორტი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტურის ოთხი მატჩი:

ცსკა-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 2:1, „შახტიორი“ (დონეცკი)-„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — 2:1, „არარატი“ (ერევანი)-„ნეფტჩი“ (ბაქო) — 1:0, „კაირატი“ (ალმა-ათა)-„პახტაკორი“ (ტაშკენტი) — 3:2.

დღეს მეოთხე ტურის ბოლო სამი შეხვედრა გაიმართება: „დინამო“ (კიევი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი), „დინამო“ (მოსკოვი)—„ზარია“ (ვოროშილოვგრადი).

თბილისის „დინამო“ მიიღებს ოდესის „ჩერნომორეცს“. საკავშირო ჩემპიონატების განმავლობაში თბილისელები და ოდესელები ერთმანეთს შეხვდნენ 20-ჯერ. აქედან თბილისელებმა 8 მატჩი მოიგეს, 7 ფრედ დაამთავრეს და 5 შეხვედრა წააგეს. ბურთები — 28:20 დინამოელთა სასარგებლოდ.

ბუშინ რუსთაველის „მეტალურგის“ სტადიონზე გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი. დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 5:0. სამი ბურთი გაიტანა წელებაძემ, თითო — მუშლაძემ და მინაშვილმა.

დინამოელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ — გოგია, რუხაძე, ახობაძე, ებანოიძე, ნადირაშვილი (ფოფხაძე), მინაშვილი, გოგოლაძე, ძებისაშვილი (კაკილაშვილი), ჩელებაძე, ბაზაზაშვილი (ჯოხაძე), მუმლაძე.

რედაქტორი
Დ. ᲛᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡ 1978 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲗᲐ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ 1978 ᲬᲚᲘᲡ 25 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲓᲣᲨᲔᲗᲨᲘ, ᲢᲘᲠᲐᲟᲨᲘ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲐ 288.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ 91 ᲜᲘᲕᲗᲝᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ 159.909 ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ. ᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲡᲕᲓᲐ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲡ:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება
09605	036*)	ტრანზისტორი	99 მანეთი
09611	283*)	მაგნიტოფონი	220 მანეთი
09614	484*)	500 მანეთი	—
09649	009*)	ტრანზისტორი	99 მანეთი
09652	431*)	მაცივარი	275 მანეთი
09663	355*)	საბჭოური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი“ საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაურო	165 მანეთი
09664	442*)	100 მანეთი	—
09693	347*)	100 მანეთი	—
09700	290*)	მაგნიტოფონი	220 მანეთი
09710	120*)	25 მანეთი	—
09711	200*)	30 მანეთი	—
09716	354*)	მაცივარი	275 მანეთი
09719	461*)	20 მანეთი	—
09727	373*)	25 მანეთი	—
09739	243*)	50 მანეთი	—
09744	008*)	მაგნიტოფონი	220 მანეთი
09751	344*)	1000 მანეთი	—
09752	003*)	20 მანეთი	—
09753	1—500	10 მანეთი	—
09758	024*)	100 მანეთი	—
09786	253*)	25 მანეთი	—
09789	216*)	ტრანზისტორი	99 მანეთი
09829	386*)	მაგნიტოფონი	220 მანეთი
09833	236*)	25 მანეთი	—
09842	195*)	125 მანეთი	—
09848	086*)	20 მანეთი	—
09854	388*)	25 მანეთი	—
09860	495*)	30 მანეთი	—
09880	222*)	125 მანეთი	—
09889	137*)	25 მანეთი	—
09895	346*)	25 მანეთი	—
09925	178*)	პიანინო	650 მანეთი
09942	394*)	25 მანეთი	—
09946	410*)	100 მანეთი	—
09949	154*)	30 მანეთი	—
09983	168*)	50 მანეთი	—
10013	061*)	25 მანეთი	—
10017	389*)	საბჭოური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი“ საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ	165 მანეთი
10040	406*)	მაცივარი	275 მანეთი
10052	1—500	10 მანეთი	—
10065	245*)	მაგნიტოფონი	220 მანეთი
10078	258*)	20 მანეთი	—
10080	180*)	100 მანეთი	—
10081	343*)	50 მანეთი	—
10086	225*)	მაცივარი	275 მანეთი
10118	493*)	20 მანეთი	—
10119	253*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	3750 მანეთი
10138	477*)	20 მანეთი	—
10149	476*)	50 მანეთი	—
10173	010*)	მაცივარი	275 მანეთი
10181	438*)	30 მანეთი	—
10203	473*)	125 მანეთი	—
10232	289*)	საბჭოური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი“ საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ	165 მანეთი
10236	233*)	100 მანეთი	—
10239	1—500	15 მანეთი	—
10248	152*)	20 მანეთი	—
10268	026*)	30 მანეთი	—
10271	126*)	30 მანეთი	—
10272	393*)	30 მანეთი	—
10296	322*)	მაცივარი	275 მანეთი
10299	244*)	25 მანეთი	—
10302	357*)	მაცივარი	275 მანეთი
10308	420*)	მაცივარი	275 მანეთი
10314	382*)	30 მანეთი	—
10317	447*)	50 მანეთი	—
10320	455*)	25 მანეთი	—
10340	219*)	100 მანეთი	—
10346	346*)	50 მანეთი	—
10350	427*)	200 მანეთი	—
10352	343*)	25 მანეთი	—
10368	341*)	30 მანეთი	—
10370	046*)	25 მანეთი	—
10372	260*)	მაცივარი	275 მანეთი
10391	358*)	25 მანეთი	—
10402	315*)	100 მანეთი	—
10429	335*)	მაგნიტოფონი	220 მანეთი
10437	117*)	მაგნიტოფონი	220 მანეთი
10449	256*)	მაცივარი	275 მანეთი
10468	330*)	50 მანეთი	—
10482	367*)	20 მანეთი	—
10488	090*)	20 მანეთი	—
10500	240*)	25 მანეთი	—
10502	375*)	50 მანეთი	—
10513	418*)	50 მანეთი	—
10525	267*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	3750 მანეთი
10545	064*)	საბჭოური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი“ საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ	165 მანეთი
10546	187*)	30 მანეთი	—
10555	011*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	3750 მანეთი
10568	401*)	25 მანეთი	—
10632	019*)	20 მანეთი	—
10634	216*)	20 მანეთი	—
10640	264*)	20 მანეთი	—
10642	376*)	100 მანეთი	—
10656	277*)	მაგნიტოფონი	220 მანეთი
10691	056*)	100 მანეთი	—
10699	062*)	მაცივარი	275 მანეთი
10708	321*)	20 მანეთი	—
10713	095*)	100 მანეთი	—
10715	258*)	20 მანეთი	—
10722	282*)	25 მანეთი	—
10732	194*)	მაგნიტოფონი	220 მანეთი
10735	470*)	30 მანეთი	—
10741	127*)	25 მანეთი	—
10747	131*)	100 მანეთი	—
10751	448*)	100 მანეთი	—
10754	091*)	50 მანეთი	—
10763	194*)	500 მანეთი	—
10770	360*)	125 მანეთი	—
10776	488*)	მაცივარი	275 მანეთი
10777	434*)	100 მანეთი	—
10787	214*)	30 მანეთი	—
10794	312*)	50 მანეთი	—
10802	022*)	30 მანეთი	—
10816	136*)	25 მანეთი	—
10817	336*)	50 მანეთი	—
10818	035*)	100 მანეთი	—
10819	101*)	მაცივარი	275 მანეთი
10827	105*)	საბჭოური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი“ საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ	165 მანეთი
10843	396*)	100 მანეთი	—
10847	197*)	მაცივარი	275 მანეთი
10854	221*)	ტრანზისტორი	99 მანეთი
10865	334*)	ტრანზისტორი	99 მანეთი
10872	097*)	200 მანეთი	—
10875	238*)	25 მანეთი	—
10886	086*)	100 მანეთი	—
10892	443*)	250 მანეთი	—
10903	146*)	მაცივარი	275 მანეთი
10909	224*)	25 მანეთი	—
10921	451*)	50 მანეთი	—
10930	245*)	მაცივარი	275 მანეთი
10941	206*)	50 მანეთი	—
10947	378*)	250 მანეთი	—
10955	259*)	300 მანეთი	—
10960	280*)	ტრანზისტორი	99 მანეთი
10962	083*)	30 მანეთი	—
10979	220*)	25 მანეთი	—
10981	456*)	20 მანეთი	—
10997	178*)	30 მანეთი	—
10998	236*)	20 მანეთი	—
11008	378*)	30 მანეთი	—
11012	149*)	200 მანეთი	—
11023	057*)	100 მანეთი	—
11038	278*)	100 მანეთი	—
11049	403*)	20 მანეთი	—
11070	1—500	15 მანეთი	—
11073	119*)	30 მანეთი	—
11080	441*)	30 მანეთი	—
11083	283*)	100 მანეთი	—
11090	374*)	პიანინო	650 მანეთი
11094	396*)	100 მანეთი	—
11096	306*)	300 მანეთი	—
11102	018*)	50 მანეთი	—
11140	374*)	ტრანზისტორი	99 მანეთი
11144	088*)	მაცივარი	275 მანეთი
11145	206*)	საბჭოური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი“ საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ	165 მანეთი
11161	003*)	30 მანეთი	—
11167	123*)	მაცივარი	275 მანეთი
11182	400*)	30 მანეთი	—
11197	155*)	მაგნიტოფონი	220 მანეთი
11202	104*)	125 მანეთი	—
11203	096*)	50 მანეთი	—
11240	394*)	50 მანეთი	—
11252	250*)	100 მანეთი	—
11268	001*)	25 მანეთი	—
11270	180*)	20 მანეთი	—
11294	056*)	125 მანეთი	—
11298	405*)	მაცივარი	275 მანეთი
11307	363*)	ტრანზისტორი	99 მანეთი
11310	320*)	20 მანეთი	—
11320	082*)	მაგნიტოფონი	220 მანეთი
11324	357*)	მაცივარი	275 მანეთი
11327	100*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	3750 მანეთი
11344	100*)	30 მანეთი	—
11350	225*)	200 მანეთი	—
11358	367*)	მაცივარი	275 მანეთი
11370	200*)	30 მანეთი	—
11383	341*)	20 მანეთი	—
11385	277*)	20 მანეთი	—
11389	269*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	3750 მანეთი
11403	017*)	20 მანეთი	—
11414	354*)	50 მანეთი	—
11424	243*)	30 მანეთი	—
11440	462*)	30 მანეთი	—
11443	268*)	20 მანეთი	—
11448	266*)	100 მანეთი	—
11454	101*)	1000 მანეთი	—
11455	484*)	30 მანეთი	—
11462	276*)	მაცივარი	275 მანეთი
11471	110*)	ტრანზისტორი	99 მანეთი
11487	099*)	ტრანზისტორი	99 მანეთი
11496	342*)	20 მანეთი	—
11497	403*)	30 მანეთი	—
11499	292*)	30 მანეთი	—
11514	083*)	25 მანეთი	—
11531	124*)	200 მანეთი	—
11567	143*)	50 მანეთი	—
11582	245*)	ავტომანქანა „ჟიგული—2101“	5500 მანეთი
11584	290*)	20 მანეთი	—
11603	084*)	მაცივარი	275 მანეთი
11608	063*)	მაცივარი	275 მანეთი
11631	081*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი—2140“	6830 მანეთი
11641	442*)	25 მანეთი	—
11657	374*)	200 მანეთი	—
11670	416*)	250 მანეთი	—
11701	180*)	მაცივარი	275 მანეთი
11704	216*)	25 მანეთი	—
11715	040*)	მაცივარი	275 მანეთი
11721	127*)	50 მანეთი	—
11726	303*)	50 მანეთი	—
11742	149*)	საბჭოური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი“ საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ	165 მანეთი
11745	485*)	100 მანეთი	—
11763	331*)	50 მანეთი	—
11778	060*)	ტრანზისტორი	99 მანეთი
11794	356*)	50 მანეთი	—
11818	180*)	20 მანეთი	—
11830	251*)	30 მანეთი	—
11833	289*)	30 მანეთი	—
11856	034*)	20 მანეთი	—
11867	086*)	25 მანეთი	—
11881	242*)	მაცივარი	275 მანეთი
11888	019*)	50 მანეთი	—
11897	319*)	25 მანეთი	—
11905	346*)	100 მანეთი	—
11909	247*)	30 მანეთი	—
11922	392*)	50 მანეთი	—
11944	434*)	50 მანეთი	—
11950	150*)	მაცივარი	275 მანეთი
11952	389*)	30 მანეთი	—
11959	161*)	100 მანეთი	—
11974	157*)	50 მანეთი	—
11982	292*)	20 მანეთი	—
11988	071*)	125 მანეთი	—
11990	410*)	ავტომანქანა „ჟიგული—21011“	6030 მანეთი
12012	004*)	50 მანეთი	—
12015	134*)	200 მანეთი	—
12034	444*)	მაცივარი	275 მანეთი
12045	279*)	30 მანეთი	—
12061	035*)	საბჭოური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი“ საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ	165 მანეთი
12096	358*)	50 მანეთი	—
12102	271*)	100 მანეთი	—
12104	359*)	20 მანეთი	—
12105	303*)	ტრანზისტორი	99 მანეთი
12107	025*)	500 მანეთი	—
12119	333*)	500 მანეთი	—
12125	068*)	20 მანეთი	—
12136	010*)	30 მანეთი	—
12145	086*)	100 მანეთი	—
12153	118*)	25 მანეთი	—
12161	005*)	20 მანეთი	—
12173	346*)	საბჭოური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი“ საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ	165 მანეთი
12178	484*)	200 მანეთი	—
12193	089*)	200 მანეთი	—
12204	459*)	20 მანეთი	—
12208	426*)	25 მანეთი	—
12209	013*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	3750 მანეთი
12213	400*)	30 მანეთი	—
12214	425*)	25 მანეთი	—
12220	278*)	25 მანეთი	—
12227	402*)	მაგნიტოფონი	220 მანეთი
12236	479*)	100 მანეთი	—
12246	095*)	25 მანეთი	—
12260	097*)	25 მანეთი	—
12262	311*)	50 მანეთი	—
12263	142*)	300 მანეთი	—
12293	088*)	100 მანეთი	—
12295	201*)	500 მანეთი	—
12302	377*)	20 მანეთი	—
12327	264*)	200 მანეთი	—
12335